№ 98 **სახალხო გაზეთი** № 98

ხუთშაბათი, 2 სექტემბერი, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწ. პირველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული

სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებით ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

* * * * **ხელის მომწერთა საყურადღებოდ** * * * *

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის" კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

21 აგვისტოს მაგიერ შაბათს, 4 ენკენისთვეს ვ. ს. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით გაიმართება

ლიტერატურულ-ვოკალური

საღამო

მონაწილეობას მიიღებენ: ვ. ს. ალექსი-მესხიშვილი, გ. გედევანოვი, ნ. გოცირიძე და ახალგაზრდა მწერლები: ბ. ახოსპირელი, გელა, ეშმაკი, იასამანი, ირეთელი, რ. ლეჩხუმელი, ტრ. რამიშვილი, ფ. რუშაველი, პართენაშვილი, ქუჩიშვილი და სხვ. ვ. ს. მესხიშვილი წაიკითხავს გრიმში „შეშლილის წერილებს", ნ. ვ. გოგოლისა. გ. გედევანოვი და ნ. გოცირიძე შეასრულებენ „ვაი-ვაის" ხმაზე ახალ კუპლეტებს. მწერლები წაიკითხავენ თავიანთ ნაწარმოებს.

გურულების ხორო შეასრულებს სახალხო სიმღერებს და ორ-სართულიან ფერხულს დასაწყისი საღ. 8 ნახ. ს. ფასები 10 კ. 1 მ. 50 კ.-მდე. 21 აგვისტოს აღებული ბილეთები გამოდგება ამ საღამოსთვის. გამგე **ს. ხვიჩინაძე.**

კვირას, 5 სექტემბერს

დღის $11^{1}/_{2}$ საათზე სამეურნეო ბანკის დარბაზში

მოხდება პირველი საზოგადო კრება ახლად მთავრობის მიერ ნება დართულ

„ქართველ მომღერალთა საზოგადოება სანთურისა".

განსახილველია:

1. გაცნობა საზოგადოების წესდებისა;
2. ახალ წევრების მიღება;
3. საზოგადოების გამგეობის არჩევა. (4—1)

წიგნის გამომცემელი ამხანაგობა

„ალიონი"

ამით აცნობებს, რომ წიგნებზე ხელის მოწერა ჩვენდა დამოუკიდებელ მიზეზების გამო გაგრძელდება პირველ სექტებრამდე. წიგნების გამოცემა უზრუნველყოფილია.

(0—6.—14) ამხანაგობა „ალიონი"-ს გამგე **ვ. გადილია.**

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვ. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

შ. ა მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. $1^{1}/_{2}$—$2^{1}/_{2}$ ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ვ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. პოპოვი—ყელ.. ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—429)

ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,

ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ. ორშ., ოთხშ., და პარ. $10^{1}/_{2}$—11 ს.

გორბოვსკი-ზარანეკი ე. ვ. თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.

ზურკე ვ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^{1}/_{2}$—$3^{1}/_{2}$ ს.

მაღალაშვილი ვ. ვ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და ხას. 1—2 ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

ფირხალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

პაპოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

სობოლევსკი ვ. ვ. ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცი., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—5.—263)

ქ. ქუთაისში

თ. მთავრიშვილისა და ამხანაგობის

წიგნის მაღაზიაში

დამზადებულია დიდ-ძალი ქართული და რუსული **სახელმძღვანელო წიგნები.**

სახალხო სასწავლებლებს, სახალხო ბიბლიოთეკებს და პროვინციის წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 10 პროცენტი. ყდაზე გადაიხდებათ თითო შაური.

ვინც ფასდადებით გამოიწერს, მან ბე უნდა გამოგზავნოს. აქვე იმყოფება უმთავრესი საწყობი შემდეგი წიგნებისა:

1. გუთანი, ოჯახსა და სკოლაში საკითხავი წიგნი, შედგენილი ქუთ. ქართულ გიმნაზიის მასწავლებლების მიერ.	ფასი 80 კ.
2. ქართული გრამატიკა ს. ხუნდაძისა,	„ 50 „
3. ქართული წერის დედანი, ს. დათეშიძისა,	„ 20 „
3. ბატონ-ყმობა საქართველოში, ალ. ხახანაშვილისა,	„ 50 „
5. საქართველოს ისტორია ს. ქვარიანისა,	„ 25 „
6. ელისო, მოთხრობა ალ. ყაზბეგისა,	„ 10 „
7. დედაენის ზოგიერთი სიტყვების განმარტება, პ. ჭარაიასი.	„ 15 „

(25—6.—12)

მისაღები გამოცდა

პირველ მოსამზადებელ კლასში, თფილისის საბაღისნო სკოლაში პირველ ხარისხის,—იმპერატ. კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა, იქნება

2 ოქტომბერს, 1910 წ.

თხოვნა მიიღება პირველ ოქტომბრამდე.—მოწაფეები მხოლოდ პანსიონერებად მიიღებიან წელიწადში 150 მანეთად. დაწვრილებითი ცნობის გაგება შეიძლება სკოლის კანცელიარიაში დილის ათი საათიდან დღის თორმეტის ნახევრამდე და საღამოს ოთხი საათიდან ხუთამდე. (3—34—1)

გამგეობა

ხონის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისა ამით აცნობებს ხსენებულ საზოგადოების წევრთ, რომ თანახმად 26 ამხანაგის წერილობითი განცხადებისა დანიშნულია 5 სექტემბერს ამა 1910 წელს ხონის სავაჟო პროგიმნაზიის შენობაში.

საგანი კრებისა:

გადასინჯვა საბჭოს და გამგეობის დადგენილებისა ახალ ბინაზე გატანის შესახებ. (2—6—2)

სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

მუდმივ საწოლებით.

მიხეილის პროსპ., 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფ. N 1026.

ავადმყოფთა მიღება:

აგაჯანოვი მიხეილ—სიფილისი, კანისა და საშარდის ავადმყოფ. 1—2 საათ.

ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგანი, ნერვებისა და სულიერი ავადმყოფობანი. ელექტროტერაპია. 11—12 საათ.

კიმონტი მ. პ.—ქირურგიული ავადმყ. 11—12 საათ.

მაგაკიან გ. ნ.—შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი 11 ნახ.—12 ნახ. საათ.

ა. დ. კალმიკოვა-ვნუკოვა—საქალებო ავადმყ. 11—12 საათ.

მზარეულოვი მ. ე. 12 ნახ.—1 ნახ. საათ. სიფილისი, კანის და საშარდის ავადმყოფობანი.

სამკურნალოში უწამლებენ ელექტრონით, უკეთებენ მასსაჟს, მოახდენენ ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევებს; უცრიან ყვავილს; შეამოწმებენ ძიძებს ფასი დარიგებისთვის **50 კაპ.** ოპერაციის და კონსულტაციის ფასი მორიგებითი საავადმყოფო განყოფილება შესდგება საერთო პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—32—2)

ექიმი ვ. ნ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. სპეციალურად კუჭისა და ნაწლავებისა. მიიღება დილის 10—11 საათ. (ბავშვთა) საღამოს 5—7 საათი (საზოგადო). მიხეილის პროსპექტი, № 36, ტელეფონი N 388. (100—ზალ.—23)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

გადავიდა იზმაილოვის ქუჩაზე N 2. იღებს ავადმყოფთ დილით 10 ს.—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—208)

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1; საღ. 6—7 საათ. გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. 20. (0—6.—38)

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს $5^{1}/_{2}$—$6^{1}/_{2}$ საათამდის. კახეთის ქ. ტელეფონი N 816.

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

განქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება $9^{1}/_{2}$-დან 5 ს.-დე.

ხარაძე—ბავშ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

ბოგოვსკი—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

მონხე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა $1^{1}/_{2}$—3 საათ.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

ნოვიცკი—ქალებ., ყოველ დღე. 1—2 ს.

ვეხელოვზაროვი ნ. ნ. ქირურგ. ავად. ყოვ. დღ. 2—3 საათ.

ხატისოვი ნ. დ.—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.

მიკირტუმოვი დილის $10^{1}/_{2}$—$11^{1}/_{2}$ ს. ყოველ-დღე.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ. სულ. ელექტროტერაპია. ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 4— 5 საათ.

ფონდოევი—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 2—3 ს.

ი. მ. ახპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. 1—2 საათამდე.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის შრატით. (100—6.—92)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4. სახლი ჯაბაშვილისა (უ)

ექიმი მ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

ექიმი მ. ს. არჯევანიძე

ქუთაისში.

იღებს შინაგან და დედათა სენით ავადმყოფებს, ყოველ დღე კვირა უქმის გარდა, დილით 9—12 საათამდე და საღამოთი 6—7 საათ. პუშკინის ქ., სახ. ი. ი. გოგიელოვისა. (25—9—4)

ტფილისის თავად აზნაურთა ქალების

სკოლა ამით აცხადებს, რომ მეორე განყოფილების მოწაფე ქალები გადაყვანილ იქმნებიან შემდეგ განყოფილებაში და უნდა გამოცხადდნენ ენკენისთვის პირველს. თუ მესამე განყოფილებაში აღმოჩნდა თავისუფალი ადგილი, ახალ მოწაფეებსაც მიიღებენ. (3—27—3)

პირველი

ყველასათვის ხელ-მისაწვდომი

კლასები ფორტოპიანოსი

თავისუფალ მხატვრის პიანისტის **იოსებ გიორგის ძე ტერ-დავიდოვისა.** ქ. ტფილისი. ელისაბედის ქ., N 40.

გაკვეთილი:

თავის ბინაზე 10 მ. თვეში (კვირაში 2 გაკვეთილი), და 8 მ. თვეში (კვირაში 1 გაკვეთილი).

გაკვეთილი მოწაფის ბინაზე: 25 მ. თვეში (კვირაში 2 გაკვეთილი), და 15 მ. თვეში (1 გაკ. კვირაში). ფასი თვის დასაწყისში, წინ და წინ. ღარიბები, ვისაც ნიჭი აქვს, უფასოდ სწავლობს და მიიღებიან კონკურსით თავისუფალ ადგილებზე. ამათ უნდა წარმოადგინონ სიღარიბის მოწმობა. უფასო ადგილი 30.

ვინც დაწინაურდება, გაივლის მუსიკის თეორიასაც. ყოველ წელს იმართება კონცერტები. უქმობენ კვირა-უქმე დღეებს. (20—6.—8)

უგზავნით მსურველთ

მომზადებულ სადილს ჩვენი კაცის ხელით და ვაძლევთ სადილს ადგილობრივ. მასალა სუფთაა და ნოყიერია; მზარეული-ცნობილი და გამოცდილი; ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომი. კირპიჩნი ვიწრო ქუჩა, (ბელინსკის ქუჩიდან) სახლი № 19, იკითხეთ ეზოში. (5—უ.—4)

დაიბეჭდა და იყიდება

თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიაში ქუთაისში

ბატონ-ყმობა საქართველოში

ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა. ფასი 50 კაპ.

საქართველოს ისტორია

ს. ქვარიანისა.

ფასი 25 კაპ. (15—ფ.—13)

ტფილისი, 2 სექტემბერი.

ბ-ნი იაკობ გოგებაშვილი გაზეთ „საქმის" ფურცლებიდან ერთ ჩვენს კორესპონდენტს ჰკიცხავს, როგორ გაჰბედა და რად დასწერა, რომ სოფლის მასწავლებელს ხშირად მშობლები უსაყვედურებენ, სკოლაში რუსულის სწავლებას ნაკლებ ყურადღებას აქცევ, ვიდრე ქართულისასო. ძლიერ კარგად გვესმის ბ-ნ გოგებაშვილის წყრომა და სწორედ ამიტომ მიგვაჩნია საჭიროდ, გამოვესარჩლოთ ჩვენს კორესპონდენტს.

თავის თავად საზოგადო მნიშვნელობის ფაქტის აღნიშვნა საძრახისი არავისთვის არ არის; ამ მხრივ ჩვენს კორესპონდენტს საყვედური არ მიეკარება. ყალბი შეხედულობა სახალხო სკოლაზე, რომელსაც კორესპონდენტი ამცნობდა მკითხველებს თავის წერილით, მას არ მოუწონებია. იგი ამ მხრივაც საყვედურის გარეშეა. რისთვის ჰშოლტავს მას ბ-ნი გოგებაშვილი?

ნამდვილად იმისთვის, რომ კორესპონდენტმა ფარდა ახადა ჩვენის ცხოვრების ერთ-ერთ ღუხჭირს მხარეს, ხოლო ფორმალურად კი იმისთვის, ვითომ მისგან მოთხრობილი ამბავი მართალი არა ყოფილიყოს. ჩვენ იმდენი გაბედულება არა გვაქვს, რომ სოფლის მასწავლებელს ტფილისიდან დაუყვიროთ, სტყუი, შენთვის არავის მაგნაირი საყვედური არ გამოუცხადებიაო. არც საბუთი გვაქვს, შეუძლებლად ჩავთვალოთ ასეთი საყვედური. ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ ტფილისის ერთის სასწავლებლის მასწავლებლებს ქართველი მშობლები ხშირად უსაყვედურებენ ხოლმე, თქვე დალოცვილებო, ქართულს ჩემი შვილი შინაც ისწავლიდა, თქვენთან რუსულისთვის მოვიყვანე და სწორედ რუსულს კი ნაკლებ ასწავლითო. თუ ქართველ ხალხის უფრო განათლებული და განვითარებული წრეები, რომელნიც შვილებს ტფილისში ჰზრდიან, ასე ყირამალა უცქერიან სწავლისა და აღზრდის საქმეს, რატომ არ უნდა დაიჯერებოდეს, იმავე შინაარსის საყვედური სოფლის მდაბიო ხალხისგან? ის შეხედულება, რომ სკოლა რუსულს უნდა ასწავლიდეს, კავკასიელ მოხელეების და პოლიტიკანებისაგან დათესილი აზრია. ამ პოლიტიკანების მეცადინეობამ საკმაოდ თვალსაჩინო ნაყოფი გამოიღო ქართველ ხალხის მაღალ წრეებში. რად უნდა მივიჩნიოთ დაუჯერებელ ფაქტად, იგივე მეცადინეობა ნაყოფს იძლეოდეს ხალხის დაბალ წრეებშიც? ბ-ნ გოგებაშვილს არ მოსწონს, რომ ეს უკუღმართი შეხედულება ვრცელდებოდეს ხალხში, მაგრამ მოწონება და დაწუნება სხვა არის და ფაქტის აღნიშვნა კიდევ სხვა. უსაბუთო საყვედურის ნაცვლად ბ-ნ გოგებაშვილს ჩვენის კორესპონდენტის სიტყვები სხვა სოფლის მასწავლებელთა შეკითხვით რომ შეემოწმებინა—გაცილებით უკეთესი იქნებოდა. თორემ თუ არსებითად კორესპონდენტი მართალია, თუ ხალხი ნამდვილად ასე უკუღმა უცქერის სოფლის სკოლას, ჩვენმა პედაგოგმა ბ-ნმა გოგებაშვილმა უფრო მკვახე წერილებიც რომ დაბეჭდოს, ამით საქმეს არაფერი არ ეშველება. კაცმა პირი მალა, პირმა თავი არ დამალაო. ბ. გოგებაშვილის და სხვა გავლენიან პირებისადმი კრძალვით ან ხათრით იქნება მართლაც ხმა არავინ ამოიღოს იმ საგანზე, რომელსაც ჩვენი კორესპონდენტი ეხებოდა, მაგრამ ეს სიჩუმე უფრო ვნებას მოიტანს, ვიდრე სარგებლობას.

ბ-ნი გოგებაშვილი ამბობს ჩვენის კორესპონდენტის შესახებ, იმის წერილს გადასთარგმნიან, ხელზე დაიხვევენ და გამოიყენებენ ისინი, ვისაც სკოლა გარუსების იარაღად სწადიან აქციოსო. ჩვენ ამ შიშის მონაწილე არ გახლავართ. თუ ხალხს რუსსიფიკატორული სკოლა არა ჰსურს, ვერავინ რას გააწყობს მასთან, და პირიქით თუ ასეთი სკოლა სწადიან მას, პრესსის გაჩუმება და უკუღმართობის დამალვა ვნებას მოიტანს და არა სარგებლობას. ჩვენ და ჩვენთან ერთად ჩვენი კორესპონდენტი დიდად მოხარული ვიქნებით, თუ ბ-ნი გოგებაშვილი დაამტკიცებს, რომ სოფლის მასწავლებელს მოსწავლეთა მშობლები არასოდეს არ უსაყვედურებენ, რუსულს ნაკლებად ასწავლიო. როგორც საერთოდ, ამ შემთხვევაშიაც ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ არც ერთს ჩვენს ნაკლს, არც ერთს ჩვენს მუწუკს მდუმარების ზეწარი არ უნდა გადავაფაროთ. პირიქით პრესსის პირველი დანიშნულებაა, ამხილოს საზოგადოებას ამ გვარი ნაკლულევანებანი, რათა შესაძლო შეიქნეს მათთან ბრძოლა. ვიმეორებთ, ბ-ნ გოგებაშვილის დიპლომატიური მოსაზრება, რომ ამ მხილებას რუსიფიკატორები თავისთვის გამოიყენებენ და ამიტომ უნდა გავჩუმდეთო, ჩვენთვის მიუწდომელი პოლიტიკაა,—დარღვევით კი ჩვენი კორესპონდენტის მიერ აღნიშნული ფაქტი ბ-ნმა გოგებაშვილმა ვერ დაარღვია. ზოგად ხასიათის მოსაზრება ქართულ წიგნების გავრცელებაზე და კერძო შემთხვევები გურულებზე გათხოვილ რუსის ქალებისაგან ქართულის შესწავლისა არა გვგონია თითონ ბ-ნი იაკობის თვალში არღვევს აღნიშნულ ფაქტს.

ფაქტი კი მეტად საყურადღებო და საინტერესოა. შესაძლებელია ჩვენი კორესპონდენტის შთაბეჭდილება შემცდარი იყოს, მაგრამ ამას

გამორკვევა უნდა და არა უსაბუთოდ უარყოფა. ჩვენის აზრით, ამ საკითხის გამოსარკვევად ხმა უნდა მოგვაწოდონ სოფლის მასწავლებლებმა კერძოდ და სოფლის ინტელიგენციამ საერთოდ. მხოლოდ მათის ჩვენებით გამოირკვევა ის საგანი, რომელსაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენის ეროვნულის ცხოვრებისთვის.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 სექტემბერი.

საზღვარ-გარედ

სტამბოლი. მომავალ კვირას სულთანი ადრიანოპოლში მიემგზავრება სამხედრო ვარჯიშობაზე დასასწრებლად.

ოთხი მიტროპოლიტი და ბერძენთა საბჭოს სხვა წევრები ეწვივნენ მართლმსაჯულების მინისტრს და უმტკიცებდნენ, რომ საპატრიარქოს უფლება აქვს მოიწვიოს ეროვნული კრებაო. მინისტრმა მთავრობის სახელით უარი განუცხადა იმ მოსაზრებით, რომ ეგ უფლება საპატრიარქო წესდებაში არ არის მოხსენებულიო. დასასრულ მინისტრმა დაასკვნა: უკეთუ მოიწვევენ კრებას, ასეთი კრება უნდა მოხდეს საპატრიარქოს გარეშეო.

მუკდენი. გენერალ გუბერნატორმა სილიანმა ბრძანება გასცა თვალყური ადევნონ მანჯურიაში მყოფ კორეიის მცხოვრებთ. აცნობონ მათი ყოფა-ქცევა და იაპონიის საკონსულოს მოხელეებთან განხეთქილებას მოერიდონ.

პარიზი. გენერალმა მიშელმა, პიკარდში ალლუმის ხელმძღვანელმა, სადღეგრძელო დალია რუსის მხედრობისა. გენერ. გენგროსმა მადლობა უთხრა. ორკესტრმა რუსული ჰიმნი და მარსელიეზა დაუკრა.

სტამბოლი. საპატრიარქოს საბჭომ ყურადღება არ მიაქცია მთავრობის უარს და გადასწყვიტა სახვალიოდ გახსნას ეროვნული კრება. პოლიციამ დაატუსაღა სამი წევრი, რომლებიც ეროვნულ კრებაზე დასასწრებლად მიდიოდნენ.

რუსეთი

ცარიცინი. „კავკაზი“-ს მიდამოებში 2600 კომლი გადაიწვა. უმთავრესად მუშა ხალხია. უსახლკაროდ დარჩა 15000 მცხოვრები.

ვიატკა. ვაჟების მონასტრიდან ღამე გაიტაცეს 98,000 მანეთი, პროცენტიანი ქაღალდებით ერთად. ნაწილი იპოვეს, ბოროტმოქმედნი ვერ აღმოაჩინეს.

ეკატერინოსლავი. ვერხნე დნეპერის ციხეში სისხლის სამართალში მიცემული სამი ტუსაღი თავს დაეცა ორს ზედამხედველს. ერთმა ტუსაღმა წაჰგლიჯა თოფი და უნაყოფოდ ისროლა, შემდეგ თვით მოიკლა თავი. დანარჩენი ტუსაღები სიკვდილს ემუქრებოდნენ პირველ ზედამხედველს, მაგრამ ბოლოს დამორჩილდნენ. წესიერება აღადგინეს.

კიევი. არხეოლოგიურ გამოკვლევით ბელოგოროდში, ვლადიმირის ეკლესიაში აღმოაჩინეს მეთერთმეტე საუკუნის მეფის სასაფლაო.

პეტერბურგი. მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა წარუდგინოს უმაღლესად დასამტკიცებლად სრულიად რუსეთის წიგნის გამყიდველთა და გამომცემელთა საზოგადოების წესდება.

ტფილისი. სვანეთში მოგზაურობის შემდეგ დაბრუნდა სენატორი ვატაცი. მისი საერთო შთაბეჭდილებით სიღარიბე და უკულტურობა დამოკიდებულია რკინის გზის უქონლობაზე და ბუნებრივ სიმდიდრის დაუმუშავებლობაზე. გლეხებს მიწა აკლიათ. საჭიროა საგლეხო ბანკის დახმარება. აუცილებლად უნდა ინახებოდეს ტყეები. სვანები უმეტეს ნაწილად საქონლის მოშენებას მისდევენ. საჭიროა სკოლებთან ერთად გაიხსნას სახელოსნო განყოფილებები. ყურადღება მიექცა მიწათ მოწყობის საქმეს.

სევასტოპოლი. მოვიდა საზღვაო მინისტრი.

ხოლერა

სტამბოლი. ერზერუმის მახლობელ ადგილებში ხოლერით ავად გახდა 28. მოკვდა 16.

ადესა. ექვსი დღის განმავლობაში შავი ჭირით ავად გახდა 12, გარდაიცვალა 4.

რომი. დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა სამი, გარდაიცვალა ერთი.

პეტერბურგი. სააგენტოს ცნობით ერთის კვირის განმავლობაში ორენბურგში ავად გახდა 5, გარდაიცვალა 14. მთელს გუბერნიაში ავად გახდა—457, გარდაიცვალა 226; ტულის გუბერნიაში—5, გარდაიცვალა 4; თავდაპირველად მოარულით სმოლენსკის გუბერნიაში ავად გახდა 138, გარდაიცვალა 77.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გუშინდელი დეპეშა გვაუწყებს, რომ ოდესაში სახელმწიფო საათათბიროს წევრის არჩევნები უშედეგოდ გათავდა, ვინაიდან ვერც ერთმა კანდიდატმა ხმის აბსოლუტური უმრავლესობა ვერ მიიღო. პროგრესისტებმა (იგულისხმე კადეტები) კანდიდატად წამოაყენეს ექიმი ჩაუშანსკი, ოქტომბრისტებმა — კაზარინოვი და შავ-რაზმელთა კანდიდატი კი იყო ბარონი რენო, მემამულე და მაზრის მარშლად ნამყოფი. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ არჩევნები პირველ კურიაში სწარმოებდა და ამ კურიის დიდ უმრავლესობას კი ოდესაში ებრაელთა ბურჟუაზია შეადგენს. მესამე სათათბიროში ოდესის დეპუტატად პირველ კურიიდან ორჯელ უკვე კადეტი იყო არჩეული. ერთხელ, აწ უკვე განსვენებული დეპუტატი პერგამენტი, მეორეჯელ, ვექილი ბროდსკი. ახლაც მოსალოდნელი იყო რომ კადეტი იქნებოდა არჩეული, რომ გენერალს ტოლმაჩევს, ოდესის გრადონაჩალნიკს, თავის საყვარელ ზომებისათვის არ მიემართნა: როგორც სატახტო გაზეთები გვაუწყებიან, თითქმის 2000 ამომრჩეველ ებრაელებისათვის პოლიციას უწყება არ ჩაუბარებია.

მექანიკურად დიდი რიცხვი ამომრჩევლებისა ოდესაში ისეთ პირობებშია ჩავარდნილიო, სწერს გაზეთი „რეჩი“, რომ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში. ასე რომ თვით ბარონი რენეც რომ გავიდეს დეპუტატად, ეს იქნებოდა გამარჯვება ტოლმაჩევისა და მის მიერ მიღებულ ადმინისტრატიულ ზომებისა და არა მემარჯვენე ელემენტთა და კონსერვატიულ ტენდენციებისა. ამიტომ, განაგრძობს გაზეთი, ოდესის არჩევნების მიხედვით შეუძლებელია გაიგო საზოგადოებრივი მისწრაფება და მისი სურვილებიო.

გუშინდელი დეპეშა გვარწმუნებს, რომ მიუხედავად ტოლმაჩევის ზომებისა, შავრაზმელი კანდიდატი მაინც ვერ გავიდა დეპუტატად. ეხლა ხელმეორედ უნდა მოხდეს არჩევნები და მოსალოდნელია, რომ ტოლმაჩევი კიდევ წაუმატებს თავის ზომებს და იმოდენს ეცდება, რომ შავრაზმელი ამოირჩიონ.

ახალი ამბები

ტფილისი

◆ ხოლერიანთა რიცხვი. სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორის ცნობით, 31 აგვისტოს დილის 9 საათიდან 1 სექტემბრის 9 საათამდე ტფილისში ხოლერით ავად გახდა 2 კაცი, ხოლერის ნიშნებით—2. ხოლერიანთა სამკურნალოში იყო 12 ავადმყოფი, მოემატა—3, მორჩა და გამოეწერა—1, დარჩა—13.

◆ ხოლერა. 31 აგვისტოს, პოლიციის ცნობით, ტფილისში ხოლერის ნიშნებით ავად გახდა და ხოლერიანთა სამკურნალოში გაგზავნეს 4 კაცი. მათი გვარები: 1) ივანე ბართლომეს ძე დულაიტისი, 2) ჟანდარმი ვანაცკი, 3) ალექსანდრე ბეჟანის ძე ალმაზოვი და 4) პოლიციელი პეტრე ჩესალკინი. ავადმყოფთა ბინებს შესაფერი დეზინფექცია გაუკეთეს.

◆ ციხის შენობის საძირკვლის კურთხევა. გუშინ აკურთხეს და საძირკველი ჩაჰყარეს ტფ. საგუბერნიო საპყრობილის ახალ შენობისა. პარაკლისის გადახდამდე ბაქოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა. კურთხევას დაესწრენ. იუსტიციის მინისტრი ი. გ. შჩეგლოვიტოვი, ნამესტნიკის თანამდებობის აღმასრულებელი გენერალი შატილოვი, ნამესტნიკის თანაშემწე სენატორი ვატაცი, ტფ. გუბერნატორი ლოზინა-ლოზინსკი, ქალაქის მოურავის მოადგილე ა. ი. ხატისოვი და სხვანი.

◆ სასანიტარო აღმასრულებელ კომისიის კრება. სამშაბათს, 31 აგვისტოს, შესდგა კრება ქალაქის სასანიტარო აღმასრულებელ კომისიის ა. მ. არგუტინსკი-დოლგორუკოვის თავმჯდომარეობით. კრებამ მოისმინა სასანიტარო ბიუროს მოხსენება ხოლერასთან საბრძოლველად მოწვეულ პერსონალის რიცხვის შემცირების შესახებ. ვინაიდან ტფილისში ხოლერა თან და თან ისპობა მხოლოდ კომისიამ გადასწყვიტა: შეამციროს შტატი, როგორც ხოლერის ბარაკებში, ისე ცენტრალურ ამბულატორიაში. კრება არ დაეთანხმა სასანიტარო ბიუროს და გადასწყვიტა ავჭალაშიაც იყოლიოს ექიმი, როგორც ახლა ჰყავს. კრებამ აგრეთვე სასურველად სცნო ავჭალაში, სადაც იწყება ქალაქის წყალსაყვანი, დაარსდეს მუდმივი ზედამხედველი პუნქტი ექიმით და შესაფერი პერსონალით. დასასრულ კომისიამ მოისმინა მოხსენება ექიმ ხარაზოვის, რომელიც ოდესაში იყო გაგზავნილი შავ ჭირთან საბრძოლველ ზომების შესასწავლად. მოხსენების შემდეგ, კრებამ გადასწყვიტა გამოსცეს განცხადებანი, რჩევა დარიგება მისცეს მცხოვრებლებს ყოველგვარ საშუალებით გასწყვიტონ ვირთაგვები, რომელნიც მეცნიერთა აზრით უმთავრესს როლს თამაშობენ შავი ჭირის გავრცელებაშიაც.

◆ ქ. კორსინის ლექცია. დღეს ქ. კორსინი წაიკითხავს მეექვსე სახალხო სამეცნიერო ლექციას „უწმინდესი ნილოსის ხეობა, ეგვიპტე დანუბი. ლექციის კითხვის დროს აჩვენებს 115 სურათს.

◆ წარმოდგენის მომწყობ სექციაში. დღეს, საღამოს 7 საათზე, სამეურნეო საზოგადოების სადგომში კრება ექნება სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მომწყობ სექციას.

◆ ავლაბრის მესამე პირველდაწყებითი სკოლაში. ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიამ გადასწყვიტა გახსნას ამ სასწავლებლის ზოგიერთ კლასების დამატებითი განყოფილებანი. გახსნას, რადგან სწავლის მსურველთა რიცხვმა ძალიან იმატა.

◆ მკვლელობა. როგორც გვატყობინებენ, 30 აგვისტოს მოუკლავთ ახალქალაქის „ლესნიჩის“ თანაშემწე ტეშუკი.

◆ საზოგადოება „სანთური“. კვირას, 5 სექტემბერს მოჰხდება ახლად დაარსებულ საზოგადოების „სანთურის“ წევრთა კრება. კრება მოისმენს საზოგადოების უკვე დამტკიცებულ წესდებას და აირჩევს საზოგადოების გამგეობის წევრებს.

◆ საგუბერნიო ციხის დათვალიერება. გუშინ მინისტრმა შჩეგლოვიტოვმა საგუბერნიო ციხე დაათვალიერა.

◆ 31 აგვისტოს საერთო ჩხრეკა-დაპატიმრების დროს ქალაქის სხვა და სხვა უბანში პოლიციამ შეიპყრო 38 უპასპორტო.

◆ 31 აგვისტოს, საღამოს 10 საათზე რაისა მატაშვილის ქალთან ერთად მახეილის ქუჩაზე ეტლით მიდიოდა დროებით ტფილისში მცხოვრები ისიდორე ბერტაია. ქუჩაზე ბერტაია გადმოხტა ეტლიდან და რაღაცისთვის მაღაზიაში შესვლას აპირობდა, მაგრამ ამ დროს წინ შეეხვდა მასთან ეტლში მყოფ ქალის ქმარი ალექსანდრე გასიტის ძე მატაშვილი და ჰკითხა ბერტაიას—რა საბუთით დასეირნობ ჩემს ცოლთანაო. ამ ნიადაგზე მათ ჩხუბი მოუვიდათ და ერთმანეთს ცემა დაუწყეს. მატაშვილმა ჩხუბის დროს ბერტაიას ისე მძლავრად დაარტყა ჯოხი, რომ უკანასკნელს თავი გაუტყდა. ბერტაიას სამკურნალო დახმარება აღმოუჩინეს, ხოლო მატაშვილს პასუხის გებაში აძლევენ, საზოგადო მშვიდობიანობის დარღვევისათვის.

მოკლე შენიშვნა

ქართველ მომღერალთა საზოგადოების „სანთურის“ მომავალ კრების გამო.

კვირას, ხუთ სექტემბერს, მოხდება **პირველი** კრება ქართველ მომღერალთაგან შემდგარ საზოგადოების „სანთურისა“.

კიდევ გვემატება ერთი კულტურული და ჩვენის ავ-კარგიანობის მოჭირისუფლე დაწესებულება! ჩვენ ისე ცოტა გვაქვს ამგვარი დაწესებულებანი, რომ ყოველი ქართველი აღტაცებით უნდა მიეგებოს ამ საზოგადოების დაარსებას და ყოველივე დახმარება გაუწიოს.

ძალა და მნიშვნელობა საზოგადო საეროვნო დაწესებულებისა უჩემოდაც ყველას კარგად მოეხსენება, და აქ ამის განმარტებაც არ მინდა. მე მსურს მკითხველის ყურადღება მივაქციო მხოლოდ ერთ გარემოებას.

არა ერთხელ და ორხელ გვსმენია, რომ ჩვენი საეროვნო დაწესებულებანი „ბურჟუების“ ხელშია, ჰმეთაურობენ მაძღარი „კუჭისტები“, **საწევრო გადასახადიც დიდია** და ამიტომ ეს დაწესებულებანი ვერა ხეირობენო. ჩვენ არ გამოვუდგებით ამ ყოვლად უგვანო აზრის გაბათილებას, იგი უიმისოდაც მდარეა, ჩვენ გვინდა ზოგიერთებს და ნამეტნავად საწევრო გადასახადების სიდიდეზე მოწუწუნეთ მივუთითოთ იმ თვალსაჩინო გარემოებაზე, რომ ახალ საზოგადოების წესდებით წლიური საწევრო ფული მხოლოდ **ერთი მანეთია.** ერთი მანეთის შეტანით თითოეულ ჩვენთაგანს საშუალება ეძლევა ხმა და გავლენა მოიპოვოს ამ საზოგადოებაში და ისე წარმართოს მისი საქმე, როგორც სასარგებლო იქნება. ამ მხრივ ახალი საზოგადოება დაარსებითვე წმინდა დემოკრატიულია და თუ შრომის უნარი გვაქვს ფაქტიურადაც გავადემოკრატოთ. მობძანდით, ბატონებო, ამ საზოგადოების პირველ

ძველთა-ძველი მოტივები რუსეთის ახალ ლიტერატურაში

1.

მახსოვს ბავშვობისას, როცა რაიმეს ამოვიჩემებდი და, ნამეტნავად, გავჯიუტდებოდი, ბებია ჩემი „ბოჩია“-თი მაშინებდა. ის ათივე თითებს დაკვლანკავდა, თვალებს გადმოაცეცებდა, სახეს ათასნაირად დაინაოჭებდა, თეთრ თმას აიბურძგნიდა და „აამ-აამ“ შემომძახებდა ხოლმე.

მე ვერაფრით ვერ ამეხსნა ყველა ეს ბავშვობისას; ვერ ამეხსნა ვერც ის, თუ როგორ ხდებოდა, რომ კეთილი და სათნოიანი ბებია, უცებ საშინელ და საზარელ „ბოჩიად“ გარდაიქცეოდა ხოლმე.

ამ „ბოჩიას“ წინაშე ისეთი ძლიერი იყო ჩემი შიში, რომ რაც უნდა ნაწყენი და გულნატკენი ვყოფილიყავ, გავიგონებდი თუ არა: „მოვიდააა... ბოჩიააა...“-ს სწრაფლ მოვიკუნტებოდი და შიშისაგან ცახცახს ვიწყებდი.

დრო გავიდა და მეც წამოვიზარდე, დავვაჟკაცდი, ახლა ამგვარ „ბოჩიებისა“ აღარ მეშინიან, ახლა ვიცი, რომ „ბოჩია“ იგივ გულკეთილი, მოხუცი ბებია იყო.

ალბად ახლა ბებია ჩემი მიხვდა რომ „ბოჩია“ ველარ შემაშინებს და რაც უნდა საწყენი ჩავიდინო, „ბოჩიას“ აღარ ახსენებს.

მაგრამ „ბოჩია“ სავსებით არ მომკვდარა; მან მხოლოდ სახე გამოიცვალა, იგი ახლა უფრო ღრმა შეიქმნა; და დღესაც, როცა კი დავინახავ მას ამ ახალის სახით, იგი არა ნაკლებს შიშსა მგვრის.

ამ ახალ „ბოჩიებს“ დღეს ვხედავ რუსეთის ახალ ლიტერატურაში, რომელმაც, ამ ბოლო დროს, პირი იბრუნა ცხოვრების ყოველ დღიურ ჭირ-ვარამის და ზრუნვის აღწერიდან, მომაკვდავ ადამიანის სწრაფ წარმავალ ზნე-ჩვეულებათა დასურათებიდან. მან გადალახა სივრცე და დრო, წაშალა პატარა საზღვრები, ხაზები, მოსპო სხვა და სხვა მოვლენათა კონკრეტული, განკერძოებული და ინდივიდუალური მნიშვნელობა და ყველა ერთ უსაზღვრო, დაუსრულებელ რგოლში მოათავსა.

ადამიანი, ბუნება, ცხოვრება, კანონები, პირობები ერთ დაუსრულებელ მსვლელობის პროცესის მონა გახადა, ერთ კოლლეიაში მოამწყვდია, ასე რომ თვითეული იმათგანი წარმოადგენს: **„каждая спица въ колосницѣ“**-ს.

ცხოვრებაში მე, შენ, ის, ნაპოლეონი, მაჰმადი, კომფუცი კი არა ვართ, არამედ ყველანი ერთად, ერთგვარ ფერხულში ჩაბმულნი ყველა ჩვენ, ერთი ვართ, ამ ერთის სიმბოლო **ადამიანია** თვითოული ჩვენგანის ყოფა ერთგვარია, ამ ერთის სიმბოლო—ცხოვრებაა. თითოეული ჩვენგანი მისს გარეშე მდგომ „რაღაცას“ ემორჩილება, ამიტომ ყველანი ერთად პასსიური ობიექტია, რომელსაც მართავს რაღაც, ამ რაღაცას ძალის სიმბოლო „ვინმე“-ა, ეს ვინმე კი „ბოჩიაა“.

„ადამიანის ცხოვრება“ გონება ამ „ბოჩიას“ წინაშე. ეს „ვინმე“ თავისთავად კი არ არის საშინელი, არამედ იგი ნიშნავს საშინელებას, იგი სიმბოლოა საშინელების, უფრო ფართედ იგი მიფია, ცოცხალი მიფი.

„ვინმე“ც საიდუმლოების სამეფოს კარების დაუღალავი მცველი (ანდრეევის „ანათემიდან“) თავის თავად კი არ არის საშინელი, არამედ საშინელება მის უკან იმალება, იგი გამომხატველია საშინელების.

„ადამიანს“ არ სურს ემორჩილოს „ვინმე“-ს; „ადამიანი“ აღიჭურვა გონიერებით. სიყვარულით, ძალით და თავისუფლება მოინდომა, შემოხაზულ წრის იქეთ გადასვლა და მზის დანახვა მოიწადინა, მზეს „ვინმე“ ჩამოჰფარებია, იგი მას ადამიანს არ უთმობს და იწყება მათ შორის ბრძოლა. ეს ადამიანი. როგორც წეღან ვსთქვი, პიროვნება არ არის, ინდივიდი, იგი ადამიანობაა, კაცობრიობა და მისი ბრძოლაც, სულიერი დრამა, სიმბოლოა მთელი კაცობრიობის ბრძოლისა. აი, ამგვარ ბრძოლის და ძიების გამომხატველი შეიქმნა დღევანდელი ლიტერატურა.

მწერალი დღეს ბევრად უფრო ფართოდ ხედავს ცხოვრებას, ვინმემ იგი ამს როდისმე ხედავდა, ამიტომ იგი ვერ გაჩერდება უბრალო ადამიანზე არამედ—ზეკაცზე; იგი ვერ მიაქცევს ყურადღებას თვითეულ ჩვენგანის ცხოვრების ელფერის გამოკვლევას;

იგი მთელი ხალხის ცხოვრებას იღებს, როგორც ერთ ზეკაცისას, იგი ვერ შეჩერდება თითეულ ჩვენგანის სულიერ მისწრაფებაზე, იდეალზე,-იგი გვიხატავს მხოლოდ კერპს, მიფს, რომელიც ერთნაირად იზიდავს ყველას.

აი, როგორა სწყდება დღეს ახალ ლიტერატურის ერთ მნიშვნელოვან ბანაკში სხვა და სხვა გვარი პრობლემები.

2.

გადავშალოთ ძველი ლიტერატურის ისტორიის ფურცლები. ჩვენ იქ თითქმის იმავეს დავინახავთ, რასაც დღევანდელ ლიტერატურაში ვხედავთ.

დიახ, ბევრი, ძლიერ ბევრი რამ აქვს საერთო ძველთა-ძველ ლიტერატურას ახალთან; და სწორედ ამაზედ მინდოდა მიმექცია მკითხველის ყურადღება.

ბუნების სხვა და სხვა გვარი მოვლენანი პირველ ადამინს, რა თქმა უნდა, ვერ აეხსნა ვერ გამოეკვლია მათი გამომწვევი მიზეზები, ამ გამოკვლევის წყურვილი კი კლავდა მას, აი, სწორედ ამ დროს შექმნა მან ღმერთები, რომელთაც მიაწერა სხვა და სხვა მოვლენები.

ამას გარდა ადამიანმა თავიდანვე ისიც შეამჩნია, რომ ზოგიერთი ამ მოვლენათაგანი ხელს უწყობდა მას არსებობისათვის ბრძოლაში, ზოგიერთები კი მის წინააღმდეგ იყო მიმართული, ცხადია პირველ კათეგორიის მოვლენათა მმართველი ძალები (ღმერთები) ადამიანისაკენ არიან, ხოლო მეორენი კი მტრებია უკანასკნელისა; აქედან წარმოსდგა ღმერთების ორ ჯგუფად დაყოფა. ღმერთები კეთილნი და ღმერთები ბოროტნი. მათ შორის ადამიანის წარმოდგენით—საშინელი ბრძოლა იყო გამართული; ადამიანი ამ ბრძოლის ნამდვილ არსს ვერ გაიგებდა, მაგრამ იგი მაინც კეთილ ღმერთების მხარს იჭერდა ინსტინქტიურად და მათ გამარჯვებას ნატრობდა.

ღმერთების სულის კვეთებას ადამიანი პრიმიტიულ შემეცნებამდე აქვეითებდა, მათ ხშირად ადამიანურ თვისებებს აწერდა საბრძოლველ იარაღად *). ყველა ამას იგი მიტომ ჩადიოდა, რომ ღმერთების ცხოვრება ადამიანებისათვის მისაწდომი და ადვილი გასაგებე გაეხადა.

ძველთა ძველი მწერლებიც ამ ღმერთების ცხოვრებას აღწერენ. მათ ნაწარმოებში სხვა და სხვა ღმერთებს ადამიანების სახე აქვთ, მაგრამ ძალა მათში საარაკო და ღვთაებრივია, მათთვის შეუძლებელი არა არის რა. თვით მდებარეობაც, ღმერთების სამოქმედო ასპარეზი, რაღაც ფანტასტიურია, განუსაზღვრელი. ეს ღმერთები, ადამიანების სახით, ცხოვრებენ სივრცისა და დროს გარეშე. აი ამგვარ ღმერთების ცხოვრებისა და ბრძოლის აღწერამ წარმოშვა მიფიური ზღაპრები და ლეგენდები, ეს უმდიდრესი გამოთქმანი ძველის ლიტერატურისა.

ღმერთები ხან სწყალობდნენ ადამიანს, ხან კიდევ სჯიდნენ მას, იმისდა მიხედვით თუ როგორ ეპყრობოდნენ ადამიანები ღმერთების მიერ დადგენილ კანონებს; ამის გამო ზოგი ადამიანი უკმაყოფილო იყო ღმერთებისა და სწყევლიდა მათ, ზოგი კი მადლობას უძღვნიდა მათ, ადიდებდა და უთხზავდა ახალ საგალობლებს.

ღმერთები ერთმანეთთან ბრძოლაში, თავის ძალების საშინჯად, სამოქმედო იარაღად, ადამიანებს იღებდენ; უკანასკნელნი პირველთა ხელში სათამაშო ბურთსა, ისე როგორც მოხუცი დავ. ლეიზერი ძლიერ ანათებს ანათემას. ხელში („ანათება“).

აი ამ რიგად პირველმა ადამიანმა სხვა და სხვა მოვლენათა მიზეზების კვლევაში, შექმნა მიფები, რომლებიც გაბატონდენ ძველ ლიტერატურაში.

ანალოგიურ მოვლენას ვხედავთ დღესაც ახალ ლიტერატურაში: გაკვრით ამაზე უკვე მივუთითე კიდეც მკითხველს ამ წერილის დასაწყისში, როცა ლაპარაკი მქონდა „ვინმე“-ზე და „ადამიანის ცხოვრებაზე“.

დღევანდელმა მწერლობამ „ადამიანის ცხოვრების“ აზრის, შინაარსის ძიებაში მიფისაკენ იბრუნა პირი. მიფი ამ მწერლობის აზრით ცხოვრების შინაარსი, სულის ჩამდგმელი და **მამოძრავებელია.** დიახ, ახალმა მწერლობამ კვლავად შექმნა მიფი, ჩვენთვის მიუწდომელი საიდუმლოება, მისტიკურ ჭეშმარიტების მატარებელი მიფი.

რა თქმა უნდა, რომ ერთის მხრივ პირველი ადამიანი და ძველი მწერლები, მეორე მხრით კი დღევანდელი მისტიკები სხვა და სხვა თვალსაზრისისანი არიან, მაგრამ ის კი

---

*) მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ უბრალო მომაკვდავს უტოლებდა ადამიანი ღმერთებს, უკანასკნელებში იგი მაინც რაღაც განყენებულ ძალთა კრებას ხედავდა. ამტ.

კრებაზე და დაბადებიდანვე ისე აღზარდეთ, როგორც ამას ჩვენი მშრომელი ხალხის კეთილ-დღეობა მოითხოვს.

საზოგადოება იგი კი დიდად მნიშვნელოვანია. იგი ემსახურება სახალხო სიმღერების აღორძინებას და ეს სიმღერები ხომ ხალხის სულისა და გულის ისტორიაა, მისი სულისკვეთების მატიანეა! და ვისაც ხალხი უყვარს, მის სულთა-სწრაფვას რატომ არ უნდა ჩაუდგეს სათავეში და ხალხთან ხელი-ხელ ჩაკიდებულმა რატომ არ უნდა იზრუნოს მომავალ აღორძინებისათვის. მაშ, ვუსურვოთ ახალ საზოგადოებას წარმატება. ჩვენ დახმარებას ნუ მოვაკლებთ. **გარეში**

ღამე

ღამე, ღამე!—სოფელსა სძინავს
ვარსკვლავი სხლტება მთამოწვდილს
ცაზედ...
დამიმორჩილე კდემა-მოსილი
და წავხელ... წავხელ—გამცვალე
სხვაზედ.
ღამე, ბნელა... მზდევნიან,
დავძრწი.
სევდის ქარი ჰქრის,—ილეწება ტყე,
და ჩემს კაეშანს ველარა ჩრდილავს
თვით მეფე ლირის სიმწუხარის დღე.
კვლავად ღამე—მეფობს წყვდიადი
და ქარტეხილიც ჰკვნესის, ქვითინებს.
შესდექ!.. დაჩუმდი!—ჩემს გულში
სევდა,
ჩემს ხელზედ ჩჩვილი სთვლემს და
იძინებს.
აღსრულდა მცნება. ახლა სიზმარი—
შვილი მყავს პირმშო, დედა ვარ,
დედა!
რაღათ მდევნიან! რათ მაწამებენ?
ვიშ... ჩემი გმობა ვინ, ვინ გაბედა?!

ბაბილინა.

მოწერილი ამბები

აბჟუვა (კოდორის ნაწილი სოხუმის ოლქისა). სოფელი ტყვარჩელი ცნობილია აბჟუვაში ბევრის მხრით. ამ საზოგადოების მიწების ზემოდ, მთებისკენ, იწყება სახელმწიფო ადგილები. ამ ადგილებში მდ. ღალიძგისა და მასში ჩამავალ ზოგიერთ სხვა წყლების ხეობებში და მთების კალთებზე იპოვება დიდძალი ცნობილი ტყვარჩელის ქვანახშირი, რომელსაც ამდენ ხანს არ ელირსა დამუშავება, თუმცა უეჭველია, აქ ერთ დროს დიდი წარმოება გაჩაღდება.

მეორე, ამავე სახელმწიფო ადგილებზე, მდინარე ღალიძგის პირად, არის ტყვარჩელის შესანიშნავი მინერალური (გოგირდის) წყლები. ამ წყლების მკურნალობითი თვისება ეჭვს გარეშეა. ეს წყლები აღმოჩენილია აფხაზეთის მთავრის დროს და მას აქეთ ყოველ წლობით დიდძალ ხალხს იზიდავს როგორც აფხაზეთის ყველა კუთხიდან, ისე უფრო სამეგრელოდან. მაგრამ ჭკუსარჩენად მისული ხალხი აქ დიდ გაჭირვებაში ვარდება: გარდა ერთი რამდენიმე ოთახიანი სახლისა აქ სადგომი ბინა არ იშოვება, რადგან აფხაზეთის უკანასკნელ მთავრის დროს გაშენებული სახლები გაფუჭდა, ხოლო ახალი სახლების აშენების ნებას არ იძლევა სახელმწიფო ქონებათა უწყება. ასე რომ აქ ფანჩატურებსა და უფრო ნოშოსაგან გაკეთებულ კარვებშია ხალხი ერთმანეთზე მიყრილი. ასეთ ბინაში ცხოვრებით რა შვება უნდა მიეცეს ქარებიან ავადმყოფებს, რომლებიც უმეტესად აქ მოდიან!

თვით აბანოც მეტის მეტად მოუწყობელია, რადგან არც ამის შეკეთების ნებას იძლევა მთავრობა. აბანო არის მთლად მდ. ღალიძგის პირზე და მას პირდაპირ ზედ აკრავს მაღლად ამართული ციცაბო კლდე და ამ ფრიალოდან ცვივდება უზარმაზარი ქვები, რომლებიც ხვდება აბანოსა და მის მიდამოს. ერთი ასეთი ჩამოგორებული ქვის მსხვერპლი შეიქმნა ამ მარიამობის თვის მეორე ნახევარში ზუგდიდის მაზრის ს. ლედგებიეს მცხოვრები ვილაც ბულია, რომელსაც ქვამ თავი გაუჩეხა და იმ წამსვე სული დალევია. რადგან ქვები მერეც ცვიოდა, ხალხი დაშინდა და წავიდ-წამოვიდა, თუმცა აქ სეზონი მაისიდან ენკენისთვის შუამდის გრძელდება. ზოგიერთები კი დარჩენ, მაგრამ ესენიც, ერთის იქ მყოფის თქმისა არ იყოს, ისე ბანაობენ თითქოს წამ და უწუმ ყაჩაღებისა ან ლაშქრის შემოსევას ელოდნენ.

არიან ბევრნი კერძო პირნი, რომელნიც გვარიანად შეაკეთებდნენ ამ აბანოს, მთელი საზოგადოებაც შესდგებოდა ამ წყლების მოსაწყობადა და საექსპლოატაციოდ, მაგრამ მთავრობა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ამის ნებას არავის არ აძლევს და არც თვითონ აკეთებს. ასე უპატრონოდაა დარჩენილი დღეს ტყვარჩელის მინერალური წყლები. ასეთ მდგომარეობაში უკეთესია სულ აღკრძალავდნენ ბანაობას. ზემოხსენებული უბედური შემთხვევა მაინც არ იქნებოდა, არც ექიმი, არც ფერშალი, არც ბინა და სხ. და ნუთუ ასეთს აბანოს სარგებლობის მოტანა შეუძლია. თვით წყლის თვისება ისეთია, რომ „საკაცეთ ჩაყვანილი და ქარებისაგან მოკრუნჩხული ადამიანები იმდენად რჩებიან, რომ თავისით ამოდიან.

გუფუს საზოგადოებაში, რომელიც მოსამზღვრეა ამ კვარჩელთან. (და სხვაგანაც) 1907 წლის შიმშილობის დროს დარიგებული სიმინდის ფასს ახლა ახდევინებენ საზოგადოებას. პირველად თხოულობენ ვალის ერთს მესამედს. ამ საქმეში ზოგი შეცდომა თუ ბოროტმოქმედება აღმოჩნდა. იმ წელს შედგენილ მთავრობისაგან დახმარების მიმღებთა სიაში ჩატანილნი არიან რამდენიმე პირნი (ხუთამდის), რომელთაც იმ დროს ერთი მარცვალი სიმინდი და მაშასადამე ერთი კაპეიკი ფული არ მიუღიათ. ამათ დხოვნით მიმართეს მთავრობას და გამოძიება ვნახოთ რას გამოარკვევს. მაგრამ სამაგიეროდ ისეთებიც გამოჩნდნენ, რომელთაც, როგორც ახლა თვითონ ამბობენ, სიმინდი კი აუღიათ, ხოლო ამღებთა სიაში კი სულ არ სჩანან.

აბჟუვაში მთავრობის სტრაჟნიკების გარდა სოფლის ყარაულები, სოფლის სტდაჟნიკებიც მოქმედებენ, რომელთაც აქ „კამანდას“ ეძახიან და რომელთა შესანახად კოდორის ნაწილის საზოგადოება 18 ათას მანეთს იხდის. ამ „კამანდის“ უფროსებად არიან ურიადნ. ავთ. ზვედელავა და აზ. ი. მარლანია. ამ უკანასკნელთა შესახებ თავად-აზნაურობასა და გლეხობას შორის უთანხმოებაა ჩამოვარდნილი: თავად აზნაურობას სურს ესენი გამოსცვალონ და მათ ალაგას სხვები ჩააყენონ; გლეხობას კი სურს ისინი დარჩენენ, ვინაიდან, ამბობს გლეხობა, ჩვენ ახლა თავიაუფლად გვძინავსო, ქურდბაცაცები არ გვაწუხებენ, ხოლო მათი გამოცვლა ქურდობის **გამოღვიძებას მოასწავებსო.** ასე თუ ისე, ღმერთმი ნუ ქნას, რომ ქურდობა დაწყებულიყოს. აქაური ქურდობის მშელი ნება-ზრალი მხოლოდ იმას შეუძლია გაითვალისწინოს, ვისაც აქ დიდ ხანს უცხოვრია... **პ.**

—

ს. ბუნიკაური (შორაპნის მაზრა). სოფ. ბუნიკაური მდებარეობს მეტად ლამაზ და ბუნებით მდიდარ ადგილზე. მცხოვრებნი მისდევენ ხვნა-თესვას და მაგი-ქვის მუშაობას.

კულტურულად ეს სოფელი ძალზე ჩამორჩენილია, არ არის აქ არც სამკითხველო და არც სხვა რამ განმანათლებელი დაწესებულება.

აქაური ახალგაზრდობა დაუდევრობასა და უსაქმობაში ატარებს დროს. კარგს ინებებდნენ ეს ვაჟბატონები თუ რომ ბანქოს თამაშსა და „ძმა-ბიჭობას“ თავს დაანებებდნენ და ცოტას გაჭირვებულ ხალხზედაც იზრუნებდნენ რამეს. **მლაშელი.**

—

ქ. დუშეთი. 28 აგვისტოს, საქართველოს სამხედრო გზით, კავკასიიდან ტფილისისკენ გავლით, გვეწვია მართლ-მსაჯულების მინისტრი შჩეგლოვიტოვი ტფილისის გუბერნატორის და 16 მოხელეთა თანხლებით. დუშეთის სადგურზე მინისტრს წარუდგნენ სამოქალაქო მოხელენი; ქალაქის მოურავმა ალავერდოვმა მოქალაქეთა—და მომრიგებელმა შუამავალმა ციციშვილმა—სოფლელთა მხრივ, მინისტრს პურ-მარილი მიართვეს. სადგური მორთული იყო მწვანე ფოთლებით და ყვავილებით, კიბის საფეხურები ხალიჩა-ფარდაგებით იყო დაფენილი. ერთი სიტყვით, მოწადინეობამ არაფერი არ დაზოგა, რომ მინისტრს ღირსეულად დახვედროდა...

იმ დღესვე, 1½ საათზე მინისტრი მხლებლებითურთ და დუშეთის გაჩერების ამქრისაკენ დანიშნულ ექვსი „სამპატიო დარაჯის“ თანხლებით, ტფილისისაკენ გაემგზავრა.

დუშელებს სიხარული ყოველთვის დღე მოკლე ხოლმე. ამას წინად გწერდი „ბაზრის წყარო“-ს შეკეთებაზე, რამაც ძლიერ გახარა დუშელები, მაგრამ ორი კვირის შემდეგ იგი ისევ დაიკეტა და მოქალაქეთ ისევ შორიდან უხდებათ წყლის ზიდვა—ერთადერთ „ორ-წყაროდან“, რომელიც სრულიად ვერ აკმაყოფილებს მათ მოთხოვნილებათ, მით უმეტეს, რომ მცირე რიცხოვან ნოვობაიაზეთის პოლკის ნაწილის მაგიერ, აქ ამ ჟამად სდგას მეორე პლასტუნთა ბატალიონი, რომელშიაც ათას კაცამდე ირიცხება.

ვერც 28 აგვისტოსათვის განზრახული წარმოდგენის გამართვა მოხერხდა. სწორედ, რომ ბედი არ სწყალობს აქაურ სცენის მოყვარეთ: დასძლევენ ერთს, ორს დაბრკოლებულ მიზეზს, ჩნდება... ახლა სხვა გამოუვარდებათ. ახლაც ისე მოხდა: სუყველაფერი მზად იყო, რომ ერთმა „ბარიშნამ“ თამაშობაზე უარი განაცხადა, სხვა ვერ იშოვნეს და წარმოდგენაც... ჩაიშალა!

ამერ-იმერი.

თეატრი და ხელოვნება

სახალხო სახლი. სამშაბათს, 31 აგვისტოს, ძმათა ზუბალაშვილების სახალხო სახლში, ქართულ თეატრის მსახიობთა მიერ სცენის მოყვარეთა დახმარებით წარმოდგენილ იქმნა „ძველი და ახალი თაობა“, კომედია 4 მოქმედებად, გადმოკეთებული ვ. აბაშიძის მიერ.

ჩემის აზრით, ამისთანა პიესებს და ისიც გადმოკეთებულებს ნაკლები ადგილი უნდა ეჭიროთ სახალხო თეატრებში. მადლობა ღმერთს, როგორც არტისტები ისე სცენის მოყვარენი დიდის ყურადღებით ექცევიან სახალხო წარმოდგენებს და ნუ თუ რიგიან მეტ შინაარსიან და ქართულ ცხოვრებიდან აღებულ პიესას ვერ აირჩევენ?

რომელ „დეპარტამენტის“ უფროსებათ არიან ჩვენში ქართველები, ხოლო თუ მოქმედება რუსეთში ჰხდება, იქ რა საქმე აქვს ჩვენს ქართლელ ტეტიას და თავდახურულ მძინარე დედაბერს?

მოთამაშეთა შორის, ამ საღამოს ყველაზე მეტ ყურადღებას ბ. ივანიძე იქცევდა თავის მოხდენილ თამაშით. იგი ჯამბარ-ჯამბარაშვილის როლს ასრულებდა და ისე ხელოვნურადაც, რომ მაყურებლები აღტაცებაში მოდიოდნენ. კარგი იყო ქ. ნებიერიძისა. თავის უსიტყვო როლი თამაშით დაგვირგვინა და ნათლად წარმოგვიდგინა ისეთი დიასახლისი, რომელსაც არაფერი ინტერესება და ძილის გუდად გადაქცეულაა.

ქ. ანკარა სხვა დროსაც გვინახავს, მაგრამ დღეს უფრო კარგი იყო. ეტყობა ახალგაზრდა ნიჭიერი სცენის მოყვარე ბევრსა მუშაობს და სცდილობს კიდეც შეგნებულად ემსახუროს სცენას. თუ შრომას არ უკლო, კარგ ადგილს დაიჭერს ნიჭიერ მსახიობთა შორის.

ესევე ითქმის ბ. მეტრეველზე, რომელიც ახირებულაძის როლს ასრულებდა. მხოლოდ ერთი უნდა შევნიშნოთ: თამაშის დროს პირს ხშირად ჰკუმავს და ხშირადაც უაზროდ გაშტერდება ხოლმე. რომლიც ნაკლებად იცოდა.

ბ. ფრონისპირელი ვგონებ, პირველად გამოვიდა სცენაზე. ჩინებული გლეხი იყო. დიდ სცენაზედაც არ გვინახავს უკეთესი. ვუსურვებთ, რომ კვლავაც არ ელალატებინოს იმ ბუნებრივობისათვის, რომელსაც ესე ხელოვნურად შეუთვისებია.

დანარჩენი მოთამაშენი წარმოდგენას ხელს უწყობდნენ.

მეორე განყოფილება დივერტისმენტით დაიწყო, საზოგადოებამ ამ განყოფილებას სიამით მოელოდა.

აიხადა ფარდა და პირველად სცენაზე ბ—ნი ნარკანი გამოჩნდა. მან ამაყად და მშვენივრად წაიკითხა მოხდენილი თვისი ნაწარმოები „ამაყი სული“. ბ-ნ ნარკანს ჩვენი სხვა მწერლები და პოეტები მოჰყვნენ. დიდი აღტაცება გამოიწვია, ბ. ახოსპირელის სცენაზე გამოსვლამ მან მშვენივრად წაიკითხა თავისი ლექსები და აღტაცებულმა საზოგადოებამ რამდენჯერმე გაამეორებინა.

ჩინებულად წაიკითხა თავისი ლექსები ბ-ნა ი. მჭედლიშვილმა. და ხალხმაც მოუწონა.

დ. ნახუცრიშვილმა მწყემსი „ფადე“ წაიკითხა. ენა მშვენიერი, სურათი მარტივი და მოხდენილად ერთმანეთზე აკინძული პატარა მოთხრობა სანიმუშოა. მას დიდი აღმზრდელი მნიშვნელობა ექმნება, რომელსამე სახელმძღვანელო წიგნში რომ მოათავსონ.

სალიტერატურო განყოფილება დასრულდა ია ეკლაძის ლექსით „შვილი მუშა ბოქაულაძის“ ის მუშა არ არის მტირალა მუშა მიქელაძე—გრიგოლ ორბელიანისა. იგი მუშაა მეოცე საუკუნისა, დიდის მომავლის მომლოდინე. ეს ლექსი ავტორის მიერ წაკითხული, კარგ შთაბეჭდილებას ახდენს მსმენელზე.

დასასრულ, არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ზოგიერთა ახალგაზრდა მწერლების სცენაზე გამოუსვლელობა, თუმცა აფიშებში კი იყვნენ გამოცხადებულნი, ნეტა ჰქონდათ თუ არა რაიმე საპატიო მიზეზი, თუ მათი „განდიდების“ მადის ბრალია, როგორც შევიტყე ერთ მათ-განს ბ-ნ გრიშაშვილს არ უნებებია სცენაზე გამოსვლა მარტო იმიტომ რომ მისი „კაპრიზები“ არ შეუსრულებიათ. ადრე დაუწყვია პირველობა!!...

ასეთი სალიტერატურო საღამო შაბათს როთ სექტემბერსაც გაიმართება და იმედია საზოგადოება კვლავ ბევრი დაესწრობა ამ დღეს თეატრი ხალხით იყო სავსე. **ენა მწარე.**

—

ქ-ნი კორსინის ლექცია. სამშაბათს, 31 აგვისტოს, სახაზინო თეატრში ქ-ნმა კორსინიმ მესამე ლექცია წაიკითხა ინდოეთის შესახებ. შეეხო რაჯებს (მთავრებს, თავადებს) და მათ მფლობელობას ინდოეთში.

ლექციის შინაარსი ორ ნაწილად შეიძლება გავყოთ: ინდოელების (ბუდისტები) მფლობელობა და მაჰმადიანების მფლობელობა.

ამ ლექციას მსმენელი ოცნებით გადაჰყავს იმ ზღაპრულ სიმდიდრით და ამბებით სავსე ქვეყანაში, რომლის აღწერითაც არა ერთი და ორი ახალგაზრდას გული აუძგერებია, ემილიო სალგარის და სხ. რომანისტებს.

რაჯი ბატონ-პატრონი თავის სამ-

ცხადია, რომ ორთავეს უნდოდათ რწმენა, მიუწვდენელ მოვლენათა ახსნა, ორთავემ შეჰქმნეს ზღაპრები, განსაკუთრებული მოვლენები, მითები და კერპები ეს ერთი, მეორე—რომ ორთავეს ემძიმებათ უბრალო ადამიანთა ცხოვრების აღწერა, მათი ჰირვარამის, დღიურ ზრუნვის დასურათება და ფანტაზიის სამეფოში ვადადიან, არღვევენ ყოველგვარ საზღვრებს და ზღაპრებსა და ლეგენდებს ჰქმნიან.

ამგვარ მიდრეკილების ილლიუსტრაციისათვის, დღევანდელ მწერალთა ბანაკში შემიძლიან მივუთითო ახალ მწერლობის ტიპიურ წარმომადგენლის შემდეგ სტრიქონებზე:

ქარსა მიაქვს ღრუბლები,
ბუქი მტვერსა მიმოყრის,
გული ზღაპარსა ითხოვს,
სინამდვილეს გაურბის...*)

ესეც რომ არ იყოს განა მთელი დღევანდელი მწერლობა ერთი სკოლისა, სულ ზღაპრებსა და ლეგენდებს არა ჰქმნის?

აიღეთ მაგალითად, ლეონიდ ანდრეევი, ფედ. სოლოგუბი, ვიაჩ. ივანოვი, გეორგი ჩულკოვი, სერგ. გოროდეცკი, ანდ. ბელი, ალექ. ბლოკი, სერგეევ-ცენსკი და მრავალი სხ. ამათ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს რეალისტების სკოლას, აღადგინეს ძველი ზღაპრები და ლეგენდები, შეჰქმნეს მითები და კერპები (Идолотворчество и мифотворчество).

ისე, როგორც ძველ არაკებსა*) და ლეგენდებში თითოეული გარეგნული მოვლენა გამომხატველი იყო არსისა, საგანი—ემბლემა უფრო რთულისა და დიადისა, დღევანდელ ნაწარმოებშიაც დამალულია უბრალო ფორმის შიგნით ნამდვილი არსი. ჩვენის ცხოვრების სხვა და სხვა მხარე ალლეგორიულად არის გადმოცემული; თვითეული ხაზი დღევანდელ მხატვრობაში სიმბოლოა, სიმბოლიზმი კი ძველ ლიტერატურის დამახასიათებელ თვისებად უნდა ჩაითვალოს, თითქმის ყველაზე უძველესს ლიტერატურულ ფორმად, ვინაიდან თვითოეული ზღაპარი, ანუ ხალხური თქმულება, ცოტად თუ ბევრად, სიმვოლისტურია.

ამავე დროს უნდა აღვნიშნოთ, რომ პრინციპი და მეთოდი ქმნილებისა, სამხატვრო ნაწარმოებისა ახალსა და ძველს ლიტერატურაში თითქმის სავსებით შეთანხმებულია, ერთნაირია. ნამდვილად დღევანდელ ქმნილების პრინციპი **ობიექტიური** და **მისტიკურია**, როგორც მითიურ ზღაპრებში და ლეგენდებში, მეთოდი კი **იმპრესსიონული** ორივე შემთხვევაში, გმირების ყოველმხრივი დახასიათება, დეტალებზე შეჩერება, მდებარეობის დასურათება, ყველა ეს არ იქცევს როგორც პირველთა, ისე მეორეთ ყურადღებას.

ორივე შემთხვევაში შეუდარებელი სიჩქარე, საგნების განუსაზღვრელობა, დაუმთავრებლობა მეტად თვალსაჩინო ხდება მკითხველისათვის.

4.

როგორც ზევითაც ვსთქვი, დღევანდელ ლიტერატურას არ აინტერესებს პიროვნება, მისი განკერძოებული „მე“, რომელიც განსხვავებულია ათას სხვა „მე“ ებისაგან*).

ამ მხრივ ახალმა სკოლამ გასწყვიტა კავშირი რეალისტებთან, რომლებიც გვასწავლიან, რომ ცხოვრებაში ზოგი ძველს ეპოტინება, კონსერვატორობს ე. ი. ფამუსოვია, ზოგი ახლისათვის იბრძვის პროგრესისტობს ე. ი. ჩაცკია, ზოგი უსაზღვრო ძუნწია ე. ი. პლიუშკინია, ზოგი მუდამ არშიყობს ე. ი. დონ-ჟუანია, ზოგი მუდამ თვალთმაქცობს ე. ი. ტარტიუფია, ზოგი საჭიროა თუ არა მისთვის, მაინც სცრუობს ე. ი. ხლესტაკოვია, ზოგი ბუნებით კეთილია, მაგრამ ჩერჩეტი, როგორც მანილოვი და სხვა ათასი, ჭრელია ცხოვრება, ჭრელია ხალხიც.

ახალი მწერალი კი გმირს და ლაჩარს, დიდს და წვრილმანს, ყველა ამას ერთად მოაგროვებს და ერთ ადამიანს აწერს, რომელიც **ნიშნავს** მთელ ხალხს, კაცობრიობას, რომელშიაც თვითეულ ჩვენგანის „მე“ მოთავსებული „სხვებში“ გათქვეფილი, გზაც, რომლითაც იგი მიდის ყველას გზაა—შეერთებული, ცხოვრების გზა.

ამასვე სავსებით ვხედავთ თუნდა რომაელთა და ბერძენთა ძველთა ძველ ლიტერატურაში. ავიღოთ, მაგალითად, ერთი საუკეთესო ნაწარმოები ძველის დროისა ვირგილის „ენეიდა“, რომელიც დაწერილია ქრისტეს დაბადებამდე.

„ენეი“, გმირი ამ ნაწარმოებისა, განკერძოებულ ადამიანის ტიპი კი არ არის, იგი **ერთი მრავალთაგანი** კი არ არის, არამედ იგი ზეკაცია, ღვთის შვილი, წარმოშობილი ანხიზა და ვენერასაგან. მისი თვისებებიც ზეკაცურია, თითოეული ამათგანი მაქსიმუმს სჭარბობს. რომაელების ნაციონალურმა სიამაყემ შექმნა თქმულება მრავალტანჯულ ენეიზე. მასში ვირგილიმ გამოსახა მთელი რომაელების დადებითი მხარეები: ძლიერება, სიყვარული, მშვენიერება, ზნე, ჩვეულება და მრავალი სხვა. მისს ბედში გამოხატულია მთელი რომაელების ბედი, მისი ელლინიდან რომში მოგზაურობა ალლეგორიული გამომსახველია ელლინის კულტურის რომში გადანერგვისა. აიღეთ თუნდაც ჩვენი უკვდავი ლეგენდა მიჯაჭვულ ამირანზე, ანდა საბერძნეთის ძველი ლეგენდები და ყველა ამას ნათლად დაინახავთ.

5.

მართლაც, ყოველ დროს, თვით დასაბამიდან, ერთი პრობლემა ძლიერზე ძლიერი იყო, მისი სამუდამოდ გადაჭრა შეუძლებელი შეიქმნა, ეს გახლავთ სიყვარულისა და სქესობრივი პრობლემა. სქესობრივი ლირიკას პოეზიაში ყოველთვის თვალსაჩინო ადგილი ეჭირა და უჭირავს დღესაც, მაგრამ დღევანდელი ახალგაზრდა მწერლები უფრო სხვა მხრიდან უახლოვდებიან ამ საკითხს.

ახალ მწერლობაში თითქოს რეაქცია დაიბადა ევროპიზმისა და კულტურის წინააღმდეგ, რომლებმაც თავისებური ელფერი დაადეს სიყვარულს: დაამორეს ბუნებას, უარჰყვეს მშვენიერება, სილამაზეს შავი ჩადრი გადააფარეს და შეჰქმნეს ერთი დიდი, ფარული პროსტიტუცია.

ძირს ამგვარი სიყვარული, გაიძახიან ახალგაზრდა მწერლები, ძირს თქვენი აშმორებული, ნამდვილი სახისა და მშვენიერების წამშლელი კულტურა. გაუმარჯოს ბუნებრივ მშვენიერებას, თავისუფალ სიყვარულს, დიახ, პირველყოფილ, შიშველ სიყვარულს, შიშველ ტანს და მისს სილამაზეს.

6.

„ერთ ქვეყანაში“, ამბობს ახალგაზრდა პოეტი კ. ბალმონტი, „შეყვარებულები ერთმანეთს ჰკოცნიან და ეუბნებიან: „ჩემო ძმაო“, „ჩემო დაო“... ეს რომ ევროპიელმა სწავლულმა დაინახოს იტყვის: „ამა და ამ კუნძულზე შეყვარებულები ერთმანეთს დასა და ძმას ეძახიან. პირველყოფილ ადამიანს არ შეუძლიან **აიწიოს** ბუნდოვან წარმოდგენაზე **მაღლა**, და ფიქრობს, რომ ყველა მისი ტოლი ქალები, შესაძლებელია, იყვნენ მისი დებიც“. სწორედ ასეა, —განაგრძობს ბალმონტი—მაგრამ თუ კი რომ ვისმე ვკოცნი, როგორ შემიძლიან არ უთხრა მას: „ძმაო ჩემო“, „დაო ჩემო“,..*)

განა ეს თვალსაჩინო რეაქცია არ არის დღევანდელ კულტურის მიერ შექმნილ ზნე-ჩვეულებათა წინააღმდეგ?... აქაც ძველი მწერლებისა და ხალხურ თქმულებათა აზრი გამოსჭვივის, რომლებიც მოკლებულნი იყვნენ ყოველ გვარ შემზღუდველ კულტურის გავლენას.

იმავე უკვდავ „ენეიდაში“ დედოფალი იუნონა ამბობს: .. მე ღვიძლი დაო და საყვარელი ცოლი იუპიტერისა, ამოდენა ხანია ვებრძვი ერთ ხალხს“.. („ენეიდა“ I იმღერა).

თითქმის ყველა კლასსიკურ ნაწარმოებში ასეთი დამოკიდებულებაა გამეფებული, ამ ნაწარმოებთა გმირების ე. ი. ღმერთების, შორის.

დღევანდელ ლიტერატურას ახასიათებს ბუნებრივობისადმი მისწრაფება და თავისუფლების იდეა.

დღევანდელი მწერლობის აზრით, სიყვარული დაასახიჩრა, მისი ნამდვილი ფიზიონომია წაშალა ბურჟუაზიულმა ფსიხოლოგიამ, „მეშჩანურმა“ წვრილმანობამ და ის რაც ნათელი და დიდებითაა უარყოფად და სასირცხვილოდ აღიარა; ეხლა საჭიროა გადავულახოთ ამგვარი სიმართლეს მოკლებული შემეცნებანი, დავსძლიოთ ამ წვრილმანურ ფსიხოლოგიას და თამამად ვაღიაროთ ნამდვილი, წმინდა, ბუნებრივი და ცოცხალი სიყვარული, ისე, როგორც ამას პირველი ადამიანები აღიარებდნენო.

ამ სკოლის წარმომადგენელი უოლტ უიტმანი პირ და პირ და აშკარად აღიარებს, რომ მან ამ შემთხვევაში შესწყვიტა ყოველივე კავშირი ახალ ცხოვრებასთან, ევროპის კულტურასთან და მისი ლირა ძველთა-ძველ ჰანგებს დაღიღინებს, იგი ამბობს ერთ ადგილას:

„ადამის დროის სიმღერათა მომღერალი
ვარ,
„დასავლეთისა მთელ ევროპის ახალ
ბაღჩებში

---

*) Стих. Ѳедора Сологуба „Изъ плѣна, отд. IV. Альманахъ „Факелъ“, I.

**) Былины.

*) როცა მე დღევანდელ ლიტერატურაზე ვლაპარაკობ, აქ მხედველობაში მაქვს ამ ლიტერატურის ერთი სკოლა, რომელსაც უმთავრესად მკუდლებიან ახალგაზრდა მწერლები. ავტ.

*) იხილე კ. ბალმონტის: Пѣвец побѣговъ травы“, „Золотое Руно“.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ფლობელობსი: ერთი თითის დაქნევა საკმარისია, რომ მთელი ბრბო ხალხისა მისი სურვილისამებრ წყალში გადაცვივდეს.

ქ-ნმა კორსინიმ გვანახა სურათი რაჯის შვილების აღმზდელი ინდუსისა, რომელსაც ერთი ხელი არა ჰქონდა. თურმე ეს საბრალო ბავშვების გასათობათ ვეფხვს პირში უდებდა ხელს, და რასაკვირველია, მისი ხელი არ ასცდა ვეფხვის ბასრ კბილებს.

რაჯის ბრძანებით მცხოვრებნი სტოვებენ ერთ შესანიშნავ ქალაქს და გადადიან რაჯისაგან ნაჩვენებ მეორე ადგილს, სადაც აშენებენ ახალ საუცხოვო ქალაქს; რაჯისავე სურვილისამებრ მთელი ვებერთელა ქალაქი შეღებილია ვარდის ფერად და წინა ფარდულზე მშვენიერი სურათებია დახატული.

აუარებელი სიმდიდრე, საუცხოვო სასახლეები, ძეგლები, კერპები და შავი ზოლები, საუცხოვო ლეგენდები და ამბები ისე იტაცებს მსმენელთ, რომ კაცს ავიწყდება ჩვენი სიგლახე და სივაგლახე. საცოდავი სანახავია ჩვენი ქუჩა, როდესაც გამოხვალთ თეატრიდან და გამოერკვევით ტკბილ ოცნებიდან!

ბენარეხი ერთი უდიდესი სათავადო (სარაჯო) ქალაქია. აქ გვერდზე ჩამოდის განგი, საღვთო მდინარე, რომელსაც არა ერთი ცოცხლად შეწირული ინდოელი შთაუნთქავს თავის ლაჟვარდ ტალღებში მთელი კულტია განგის თაყვანისცემისა.

შემდეგ ქ-ნი კორსინი გადავიდა დჟეპურზე, რომელიც, როგორც ვსთქვით, საჯის ბრძანებით, მთლიან ვარდის ფრად არის შეღებილი, უდეპური, გვალიორი, შემდეგ კი მაჰმადელების მფლობელობის ქვეშა მყოფი დელი და აგრა, გაიტაცებენ თავისი სიმდიდრით და მორთულობით. სურათი რომ გამოჩნდება, აღარ გინდა თვალი მოაშორო იმ ფანტასტიურად შეთხზულ ფირუზებს, ლალებს, ალმასებს და მარმარილოს, რომლითაც აგრე მდიდარია ინდოეთი. ამ მოკლე წერილში შეუძლებელია ყველა სიმშვენიერის აღწერა. მხოლოდ სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად გუშინდელ რეცენზიებისა, მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა ქ-ნ კორსინის ლექციამ.

სურათებისა და ლექციის შინაარსიც გუშინ მეტად საინტერესო იყო. ერთად ერთი ნაკლი, ქ-ნ კორსინისა,—არის სუსტი ხმა და უეფექტოდ კითხვა.

სამწუხაროდ, მოსწავლე ახალგაზრდობა და მდაბიო ხალხი, რომელთათვინაც გამართულია ლექციები, ძლიერ ცოტა ესწრება. X.

ბიბლიოგრაფია

სიმონ ქვარიანი. საქართველოს ისტორია, შემოკლებული კურსი. ფასი 25 კაპ. ქუთაისი 1910 წ.

ქართული გიმნაზიის მასწავლებლები ერთგულად იღწვიან საპედაგოგიო-სამწერლო ასპარეზზედაც. ბ. სილ. ხუნდაძის გრამატიკამ კარგა ხანია სამართლიანად მოიპოვა მოქალაქობრიობა ჩვენს სასწავლებლებში. ამას ზედ მოჰყვა ამ ორიოდ წლის წინად გამოცემული ბ.ბ. ი. ოცხელის, ს. ყიფიანის და თ. მთავრიშვილის კოლექტიური შრომა „გუთანი", რომელმაც ერთბაშად მიიქცია საზოგადოების და მასწავლებელთა ყურადღება, როგორც სისტემით, ისე შინაარსით. ამ წიგნმა გამოსვლისთანავე გაიკაფა გზა მათ შორის, ვისთვისაც იგი დანიშნულია. ეს ფაქტი უტყუარი მაჩვენებელია წიგნის თვალსაჩინო ღირსებისა.

აგერ ახლაც გამოვიდა შრომა იმავე გიმნაზიის მასწავლებლის ბ. სიმ. ქვარიანისა — „საქართველოს ისტორია". ბ. ქვარიანს ჩვენი საზოგადოება იცნობს როგორც ავტორს სხვა და სხვა კრიტიკულ-პუბლიცისტურ, თუ პოპულიარულ სამეცნიერო და საპოლემიკო წერილებისას. ჰქონდა მას აგრეთვე პედაგოგიური ფსიხოლოგიური შინაარსის წერილები (მაგ., ი. როსტომაშვილის „მოგზაურში" სტატიები „გულის ყურის" შესახებ—вниманіе). ეს ბ. ქვარიანი გამოდის როგორც ავტორი სახელმძღვანელოსი.

ჩვენი ისტორიის სახელმძღვანელოს საჭიროებას დიდი ხანია ვგრძნობთ. რომ ჩვენი დამსახურებული პედაგოგის ბ. ი. გოგებაშვილის ისტორიული განყოფილება არა ყოფილიყო „ბუნების კარში", თქვენი მტერია—არა თუ ჩვენს მოზარდ თაობას, თვით „მოზრდილებსაც" არა ეცოდინებოდათ რა ჩვენი წარსულის შესახებ.

დღემდის არსებული „საქართველოს ისტორიები" ან მხოლოდ მეცნიერული კვლევაა ჩვენის წარსულისა, ან თუ რომელიმე მათგანი განგებ სახელმძღვანელოთაა დანიშნული, ისეთი დაწერილია, რომ აღარ იცი—ავტორი სახელმძღვანელოს აწვდის ჩვენს მოზარდ თაობას, თუ საპოლემიკო წერილებსა.

თუ რა მნიშვნელობა აქვს ისტორიის სწავლებას მოზარდ-თაობისათვის, ეს ყველას მოეხსენება. ვიტყვი მხოლოდ, რომ ვერც ერთი სამოსწავლო საგანი ვერ შეუწყობს ხელს ყმაწვილის სულსა და გულში სხვათა შორის ეროვნული თვით შეგნების და თავისებურობის გამორკვევას ისე, როგორც სამშობლო ისტორია. ეს უკანასკნელიც მაშინ უფრო აღწევს მიზანს, როცა იგი დაწერილია შესაფერის ცოდნით, აღფრთოვანებით და სიყვარულით, ისტორიის დამწერი უნდა იყოს ნამდვილი ხელოვანი, რომელიც წარსულს გვისურათებს ისე, თითქო ათასი და ორი ათასი წლის წინად მომხდარ ამბებს ჩვენს თვალწინ გაივლის და ჩვენ ვიყოთ ამის მოწმენი.

აკინძვა და გადმოცემა ერის მთლიანი ისტორიისა მოკლედ, მკაფიოდ, ყველასათვის გასაგები ენით ადვილი საქმე როდია. ბ. ქვარიანმა ეს სიძნელე გადალახა და 127 გვერდზე მოგვცა ჩინებული ენით დაწერილი სახელმძღვანელო. წიგნში გამოტოვებულია ზოგიერთი რამ, რასაც ასეთი **შემოკლებულ კურსისთვის** მაგრე რიგათ მნიშვნელობა არა აქვს, სამაგიეროდ, ცალკე თავებათ მოთხრობილია შოთა რუსთველის, გიორგი სააკაძის და მაგვარ გამოჩენილ პირთა შესახებ. ზოგიერთ ისტორიულ პირების შესახებ ავტორი თავის გულისწყრომას ველარ მალავს და შესაფერად ამკობს მათ. მაგ. მეფე თეიმურაზ I: „როცა შვენიერი კახეთი ასე ილუპებოდა (მე-XVII საუკუნეში), მისი უღირსი მეფე თეიმურაზი განცხრომით ბრძანდებოდა იმერეთს და არხეინათ სწერდა თავის უნიჭო ლექსებსო". ჩემის აზრით, ასეთი დაფასება რამდენადაც საფუძვლიანია თავის თავად, იმდენადვე სახელმძღვანელოში მეტია: დაე მოწაფეებმა თითონ გამოიყვანონ ასეთი დასკვნა.

წიგნი გაყოფილია 72 თავად ანუ მოთხრობად, გამოცემულია სუფთად ჩინებულ ქაღალდზე. იმ მცირეოდენ კორექტურულ შეცდომებს გარდა, რომელიც ჩვენ აქა-იქ შევამჩნიეთ, წიგნი წარმოადგენს საყურადღებო შენაძენს ჩვენს სამოსწავლო ლიტერატურაში და დიდ სამსახურს გაუწევს, როგორც ჩვენს სახალხო სკოლებს და პროგიმნაზიულ კლასებს, ისე თვით ხალხს, როგორც ჩინებული სახალხო წიგნი. **ზემოური.**

ქრონიკა

◆ **ჯარიმა კოსტიუშკოს სურათის გამო.** ჩენსტოხოველმა (პოლონელმა) ვაჭრებმა დაიწყეს ვაჭრობა საგალანტერიო საქონლით, რომელზედაც გამოსახული იყო სურათი ცნობილ პოლონელ მამულიშვილის კოსტიუშკოსი. მთავრობამ ვაჭრები დააჯარიმა 25 მანეთით. (რ. უ.)

◆ **სამხედრო გადასახადი.** ფინანსთა სამინისტრომ დაასრულა განხილვა კანონპროექტისა სამხედრო გადასახადის შესახებ. ამ კანონ-პროექტს ძლიერ მხარს უჭერს სტოლიპინი. თანახმად ამ კანონპროექტისა ყველა, ვინც ამა თუ იმ მიზეზით განთავისუფლებულია სამხედრო ბეგარის მოხდისაგან, უნდა საგანგებო გადასახადი აძლიოს მთავრობას. წინასწარი კარაუდით ამ გადასახადის წყალობით სახელმწიფოს ყოველ წლივ ექნება ათ მილიონ მანეთამდე შემოსავალი. მინისტრთა საბჭომ მოიწონა კანონ-პროექტი. ეს კანონ-პროექტი სახელმწიფო სათათბიროს წარედგინება.

◆ **ნავთიან ადგილების ჩამორთმევა.** ამ ახლო ხანში ვაჭრობის სამინისტრო წარუდგენს მინისტრთა საბჭოს პროექტს შესახებ მიწის ჩამორთმევისა სურახანა და სხვა ნავთიან რაიონებში აპშერონის ნახევარ კუნძულზე, რათა მიწებზე ნავთის წარმოება მოაწყონ. თანახმად ამ პროექტისა ადგილობრივ მცხოვრებთ ჩამოერთმევათ მათი კუთვნილი მამულები და ყველა აქამდე შეკრული პირობანი გაუქმებულ იქნება, ნოტარიუსის წესითაც რომ იყოს დაწერილი. პროექტით ჩამოერთმევათ ყველა ის მიწები, რომელიც აპშერონის ნახევარ კუნძულის სახელმწიფო გლეხებს ნადელად მიეცათ და რომლის ვაჭრობის სამინისტრომ ნავთიან ადგილად სცნო. გლეხებს მიეცემათ შესაფერი ჯილდო, ან და სურვილისამებრ მიეცემათ თავისუფალი სახელმწიფო ადგილები სხვა ადგილას და ამ შემთხვევაში გადასახლებულთ მიეცემათ დახმარება არა უმეტეს 150 მანეთისა. განზრახულია 2000 დესეტინის ჩამორთმევა მამულების პატრონთა დასაჯილდოვებლად მთავრობა ითხოვს მომავალ 1912 წლისათვის კრედიტს ნახევარ მილიონ მანეთს. (რ. უ.)

წვრილი ამბები

ხელოვნური ორგანოები

ქ. გრაცში (შტირია) დასრულდა ზოოლოგიური მერვე კონკრესი. კონკრესი დაიწყო 15 დან და გასტანა 20 აგვისტომდე. იქ წაკითხული მოხსენებები სპეციალურ ხასიათისა იყო. ყურადღებას უფრო ერთი მოხსენება იპყრობდა. სახელდობრ. სორბონის პროფესორის დელაჟისა, რომელიც შეეხო ბიოლოგიის და ფილოსოფიის იდუმალ მხარეებს.

მოხსენების საგნად დასახული იყო ხელოვნური განაყოფიერება. უწინარეს დელაჟისა ჟაკ ლებმა მიაგნო ამ არაჩვეულებრივს და ფანტასტიურს აღმოჩენას და პირველად მის ამხანაგებს არაცკი სჯეროდათ. მან ქიმიურ შეზავებით ხელოვნურად შექმნა ზღვის ზღარბი და სხვა ცხოველები მამრობითი სქესის დაუხმარებლად.

შემდეგ კვლავ გაიმეორეს ეს მაგალითები, მაგრამ უფრო ფართოდ და ვრცლად.

გამოარკვიეს, რომ ქიმიურად შეზავებული ნივთიერება უფრო კარგად მოქმედობს კვერცხებზე, ვიდრე რომელიმე დედალი ფრინველი. ასეთს ნივთიერებას შეადგენს ნახშირის სიმჟავე.

როგორ სწარმოებს ეს? დელაჟი ამტკიცებს, რომ მეცნიერება ამ შემთხვევაში უძლურია რადგან განაყოფიერებისა და სხეულის წარმოშობისა არაფერი გაეგებათ.

ვინ იცის რა არ მოხდეს მომავალში, და სრულ უთუოს რომ მოახწიოს ამ გამოკვლევამ ხომ დაირღვევა დღევანდელი მსოფლ-მხედველობა. სად იქმნება საზღვარი ცოცხალსა და უსულო არსებათა შორის? ამ საშუალებით რომ დაჰბადონ თვით ადამიანი, მაშ ხომ აღარ ექმნება მნიშვნელობა არც სიყვარულს და არც ხელოვნებას, არც თეატრს და არც მუსიკას და ყველა იმას, რაც კი ადამიანის ცხოვრების საგანს შეადგენს.

თუმცა კი უნდა დავუმატოთ, რომ ეს ახალი საშუალება მხოლოდ მდაბალ მწერებზე სცადეს. სხვებზედ კი, მაგალითად, ფრინველებზე, საქონელზე და თევზებზე ცდას უნაყოფოდ ჩაუვლია.

„ჩემსა სიმღერებს ვაბანავებ, მეცა ვბანავობ
„დიად **სქესისა** სამეფოის ფართო
საზღვრებში"...

7.

რუსეთის ახალგაზრდა პოეტები კიდევ უფრო შორს წავიდნენ. ჯერ კიდევ ახლადგარდაცვალებული ბაშკინი უზომო უკმაყოფილებას გამოსთქვამდა იმის გამო, რომ დიდებული საუნჯე—სილამაზე—დაფარულად ინახებოდა:

„და ჰფარავდა ტანსაცმელის, ზვირთის
მსგავსი ნაოჭი
თეთრ და სავსე გულის სინაზე სილამაზეს
„და ამასთან მდიდარ, მწველ
ლტოლვილებას"...
(Жизнь)

დანარჩენებმა კი აშკარა ბრძოლა გამოუცხადეს იმას, რასაც „მეშჩანურ" წვრილმანობას უწოდებდნენ, სიყვარულს ფარდა ახადეს, ნიღაბი ჩამოაცალეს, მისი ნამდვილი ფიზიონომია დაგვანახვეს და იქ ჩვენდა გასაოცებლად, გარყვნილებისა და დაცემის ნაცვლად უსაზღვრო მშვენიერება, ნამდვილი ესტეტიკა ვპოვეთ*) აი, ერთი ამონაწერი ამ ახალ პოეზიისა:

„ახ! როდის-ღა შევხვდები
„ბნელ ღამეში საყვარელს!
„ან თუ მალე დაარხევს
„ის საამოდ ჩემს საწოლს?...
ვალერი ბრიუსოვი.

ამ ხასიათისავე გულ-უბრყვილო, მოურიდებელ აღწერას ჩვენ ვხედავთ ძველთა ლიტერატურაშიაც, მაშინ, როდესაც ადამიანი ნახევრად შიშველი დადიოდა, მაშინ, როდესაც იგი მხოლოდ ბუნების შვილი იყო და სხვა არაფერი, თავისუფალი შვილი, ველთა სიმწვანეში და ზღვის სივრცის წინ აღზრდილი, ზღვის ტალღების მიერ ნაწრთობი, მან არც კი იცოდა თუ რას ნიშნავდა სირცხვილი საშინელისა და ბუნებრივ მოთხოვნათა წინაშე. იგი ყველაფერს გულუბრყვილოდ, წმინდა გრძნობებით ჩადიოდა, მას უყვარდა მხოლოდ სიყვარულისთვის... მაგრამ კულტურამ პირველ ადამიანს შალაშინი გაჰკრა და თავისებური ელფერიც დაადო.

ისტორიამ თავისი გაიტანა, მან მისცა ადამიანს ახალი მორალი, ასწავლა სირცხვილ-ნამუსიანობის ახალი კანონი და ამის შემდეგ **ძველის** ხსოვნა ღა დარჩა.

მოვიგონოთ ცოტათი მაინც ეს ძველი და ჩვენ მართლა ბევრს რამეს დავინახავთ საერთოს ძველისა და ახალ ლიტერატურის მოტივებ შორის.

მოიგონეთ, თუნდაც, უკვდავი, კლასიკური ლეგენდა მშვენიერ ლედასა და ლამაზ გედის შესახებ რამდენი გულუბრყვილო, რამდენი სიწმინდე, სისპეტაკე და ცოცხალი პოეზიაა მასში!

ანდა გავიხსენოთ ამაზე უფრო უძველესი ლეგენდები ადამიანების წარმოშობის შესახებ.*)

როგორც დავინახეთ, ძველი მწერლობა, თავისი შემეცნებითა და მორალით საშინლად დაშორებულია ჩვენზე. ის, რაც მათ მიაჩნიათ დადებითად, სპეტაკ ზნეობად დღეს ჩვენ მიერ სისაძაგლისა და გარყვნილების სახელით ინათლება.

აი, სწორედ ეს მიდრეკილება არხაიზმისადმი, თუ კი შეიძლება ასე ითქვას, არის დამახასიათებელი თვისება რუსეთის დღევანდელ ლიტერატურის ერთის უმთავრესის სკოლისა. **ბაკი მდევარი.**

---

*) ნახეთ ლექსები ვ. ბრიუსოვისა.

*) იხილე „Австралійскія легенды", თარგმანი ბალმონტისა.

განცხადებანი

ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში
იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—174

წიგნის მაღაზიების პატრონთა
საყურადღებოდ
იყიდება 40% დაკლებით ვინც ხუთ ცალზე მეტს იყიდის:
თხზულებანი ია ეკალაძისა
(თომაანთ კობასი) ღირებული მანეთად, და საყმაწვილო წიგნი
მელიას თავგადასავალი,
ა. ნათაძისა
ღირებული 25 კაპ., დაბეჭდილი 1904 წ. მსურველთ მიმართონ „სახ. გაზეთის" რედაქციაში **პ. ახალკაცს.** (10—6)

ტფილისის ბირჟის კომიტეტი და
ტფილის. ბირჟის არტელის მმართველობა
საყოველთაოდ აცხადებს, რომ დაიწყო მოქმედება ტფილისის ბირჟის არტელმა, რომელიც თავდებობით აყენებს სამსახურში
პასუხის-მგებელ მოურავებს, ბუხჰალტრებს, კასირებს, ნოქრებს და სხ.
არტელი კისრულობს ქარვასლებისა და სავაჭრო საწყობების დაცვას, საქონლის გადაზიდვას, მიღებას, მიცემას, გაგზავნას და სხვ. არტელის სამსახურთ სარგებლობა შეუძლიან ყველას ხელშეკრულების დადებით; თუ მეარტელისაგან იზარალა ვინმემ, ეს ზარალი ანაზღაურდება არტელის თანხიდან, რომელიც თანახმად წესდებისა იმყოფება საბირჟო კომიტეტის განკარგულებაში.
მიიღებიან ახალი წევრები.
ადრესი: შუა-ბაზარი, საკრედიტო საზოგ. სახლი. ტელ. № 348. (110 5—4)

„რ ა მ ი"
საუკეთესო და
სასარგებლო
ნაქსოვი ზაფხულის
თეთრეული.
ძმ. ა. და ი. ალშვანგი
სასახლის ქუჩა. ტელეფონი № 477.
(5—6.—5)

მუცლის
სარტყელი, რომელიც დაიფა
რავს მუცლის
ავადმყოფობათაგან
ძმ. ა. და ი.
ალშვანგი.
სასახლის ქუჩა, ტელეფონი 477.
(5—6 5)

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
საბუღალტერო კურსები
ნ. ვ. აბრამიანისა.
ავტორი „ვაჭრობ. ფაბრ. და ნავთის წარ. ბუხჰალტერიის სახელმძღვანელოსი", რომელიც მოწონებულია ფინანსთა სამინისტროს სამოსწავლო განყოფილებ., როგორც სახელმძღვანელო კომერციულ სასწავლებელთათვის,
◆ **ასწავლიან და ამზადებენ ორივე სქესის პირთ** ◆
უკანასკნელ გაუმჯობესებულ მეთოდით ოთხი თვის განმავლობაში სხვა და სხვა სისტემის ბუხჰალტერიას და საკომერციო სპეციალურ საგნებს.
გარდა არსებულ საგანთა სწავლებისა, კურსებზე ასწავლიან უცხო ენებს, სტენოგრაფიას და რემინგტონს (სავალდებულო არაა).
კურსების მასწავლებლად უმაღლეს სასწავლებელში კურსდამთავრებულნი და თავიანთ საგნის სპეციალისტები არიან.
სწავლა დაიწყება 15 სექტემბერს 1910 წ. პერიოდულად ყოველ 4 თვეში ნასადილევს. თხოვნები მიიღება ყოველ დღე საღამოს 3—7 საათ. და დილის 9—12 საათამდე. კურსის შესრულების შემდეგ ეძლევა ატესტატი ფინანსთა მინისტრის ნებართვით
ამას გარდა კურსებთან ცალკე გახსნილია საგანგებო რუსულ ენისა და არითმეტიკის მოსამზადებელი კურსები ნაკლებად მომზადებულთათვის.
წესდება და პროგრამები ეგზავნება მსურველს უფასოდ. მსურველმა უნდა მიმართოს წერილობით თუ პირადად კურსების დამაარსებელს ტფილისში:
ნიკოლოზის ქუჩა, N 22, ტელეფონი 714.
ზემოდ დასახელებული სახელმძღვანელო იყიდება რუსეთის ყველა წიგნის მაღაზიებში. ვინც პირდაპირ ავტორისაგან გამოიწერს—გასაგზავნ ფულს არ იხდის. ფასი თითო ცალისა 3 მ. 50 კ. (0—ღ—10)

საბუღალტერო კურსები
ტფილისი, სანაპირო ქუჩა, ვერის ხიდთან № 19.
ი. ფონ-ბრენნერისა,
(სახალხო განათლების სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტისაგან და ფინანსთა სამინისტროს სასწავლო განყოფილებისაგან ყველა საკომერციო სასწავლებელში სახმარებლად მოწონებულ სახელმძღვანელოების ავტორისა)
კლასსები დაარსებულია 1890 წ. და ცნობილია სამოსწავლო მთავრობის მიერ.
კლასსები აძლევენ სპეციალურ საკომერციო მომზადებას ორივ სქესის პირთ, ვისაც ჰსურს მიიღოს ადგილი ბუჰჰალტერის, კორესპონდენტის, ანგარიშთა მწარმოების აგენტისა და სხვა.
კლასსებში ასწავლიან შემდეგ საგნებს: 1) **ბუჰჰალტერიას** (ორმაგი, იტალიური) და სხვა სისტემები, საგანგებო ანგარიშების წარმოება: საბანკო, საფაბრიკო, საქალაქო და საერობო საბჭოების, არყის მონოპოლიის, სახაზინო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა სწავლება დაყენებულია პრაქტიკულად და მოსწავლენი პირველ გაკვეთილიდანვე ეჩვევიან საკუთრივ აწარმოვონ წიგნები. 2) **კომ. არითმეტ.**—საბანკო, საქონლისა, სავექსილო და სხვა ანგარიშებისა. 3) **კორესპონდენციას**—კომერციულ წერილების შედგენა საბუჰჰალტერო სწავლის, კომერციულ არითმეტიკის და სავაჭრო კანონების მიხედვით, 4) **კალლიგრაფიას**—ხელის გასწორებას სხვა და სხვა ხასიათის შრიფტების მესწავლას: 5) **კანონდებას**—სავექსელო, საგერბო, სამრეწველო, საკრედიტო და სხვა წესდებათა შესწავლას. 6) **საწერ მანქანებზე წერას**; მოსწავლეთა განკარგულებაში იმყოფება 10 სხვა და სხვა სისტემის მანქანა, რომლებზედაც თავისუფალ დროს შეუძლიანთ თავისი სამუშაო გაიკეთონ. ამასთანავე ტეხნიკოსის ზედამხედველობით შეისწავლიან ტეხნიკა და მანქანების მექანიზმი. 7) **საქონლის ცნობას**,—გააცნობს მოწაფეებს ადგილობრივ ბაზრის უმთავრეს საქონლის ქიმიურ შედგენილობას და იმის თვისებათა გამორკვევას. ამ მიზნისთვის კლასსებს საგანგებო კაბინეტი აქვს მოწყობილი. 8) **ანგარიშის ჩოთქზე**—არითმეტიკულ და ალგებრაულ ამოცანების კეთებას. განმარტებული და ამერიკული წესები, ყველა არითმეტიკული მოქმედებანი და ამოცანების კეთება მთელის კურსის განმავლობაში წარმოება მხოლოდ ჩოთქზე. მოსწავლეთა საერთო და საგანგებო განვითარებისათვის მოწყობილია ბიბლიოთეკა საუკეთესო სახელმძღვანელოებით სასწავლო საგნების ლიტერატურიდან. მოსწავლეებს წიგნები შინ წასაღებადაც ეძლევათ.
კლასსებში კურს დამთავრებულთ უსასყიდლოდ შეუძლიანთ იქონიონ **პრაქტიკა** ი. ფონ-ბრენნერის სატეხნიკო და სავაჭრო—სამრეწველო ბიუროს კანტორაში, რაც, უეჭველია, დიდად სასარგებლოა მოსწავლეებისათვის.
კლასები შესდგება სამის განყოფილებისაგან: 1 განყოფილებაში მიიღებიან წერა-კითხვის მცოდნენი, 2 ში—საქალაქო ან სამკლასიან საშუალო სასწავლებელში კურს დასრულებულნი. და მე-3 ში—ბუხჰალტერის და კომერციულ არითმეტიკის პრაქტიკული მცოდნენი. დასაწყისი სწავლის 15 სექტ. თხოვნები მიიღება და ცნობები მიიცემა კლასსების კანცელარიაში, ტფილისში, სანაპირო ქუჩაზე, ვერის. ხიდთან, საკუთარ სახლში N 19 ან სერგიევის ქუჩაზე N 4. კანცელარია ღიაა ყოველ-დღედილის 9 ს 1—ამდე და საღამოს 5—დან 8 საათამდე. ტელეფონი N 929 და 1044. (20—ბუ—6)

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
კომერციულ ცოდნათა კურსები
ტ. მ. ფილოიანისა,
(ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, სახლი № 24—4).
სპეციალური კომერციული განათლება ვაჟებისა და ქალებისათვის. კურსის დამთავრების შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი.
პრაქტიკული მეცადინეობა ისეა მოწყობილი, როგორც Pitman-ის სასწავლებლებში (ლონდონში) და პიგიერის მუსტერ-ლომტუარში (პარიზში). მასალა რეალურ ცხოვრებიდან აიღება. საგნები: ა) სავალდებ. 1. ბუხჰალტერია (უბრალო, იტალიური, გერმანული, ფრანგული, საბანკო და საფაბრიკო სახარჯნო). 2. კომერციული არითმეტიკა. 3. პოლიტიკური ეკონომია. 4. კანონები (სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება). 5. კომერციული კორესპონდენცია. 6. არითმეტიკა ჩოთქზე. 7. კალიგრაფია, სწორი წერა (ხელის გასწორება). ბ) არა სავალდებულო: 1. უცხო ენები. 2. ტენოგრაფია. 3 დაქტილოგრაფია (რემინგტონი და სხვ.) და 4. კომერციული კორესპონდენცია უცხო ენებზე. მეცადინეობა შეიძლება აგრეთვე ინდივიდუალურად.
კურსების ლექტორები არიან სპეციალისტები უმაღლეს განათლებით.
თხოვნები მიიღება 10—12 ს. დილით და 4—7 ს. საღამ. სწავლა იწყება 15 სექტემბერს. პროგრამები და წესდები მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველებს უფასოდ კურსების სადგომიდან,
კურსების დირექტორი **ტ. ფილოიანი.**

წიგნის მაღაზია
„ახალი სიტყვა"
(НОВАЯ РѢЧЬ)
ი. დ. კიკნაძისა
(ტფილისი, გოლოვინის პროსპ. სახაზინო თეატრის პირდაპირ)
ამით იცხადებს, რომ მომავალ **სასწავლო სეზონისათვის** მაღაზიამ მიიღო მრავალი **სახელმძღვანელოები** საუკეთესო ყდით კავკასიის სამოსწავლო ოლქის ყველა სასწავლებლებისთვის. პროვინციალურ წიგნით მოვაჭრეებს დაეთმობათ წიგნები **დიდის ფასდაკლებით.** შეკვეთილი წიგნები იგზავნება სულ მოკლე ხანში.
ამასთანავე მაღაზიაში მოიპოვება ყველა ახლად გამოცემული სამეცნიერო, სალიტერატურო, ბელლეტრისტიული და სხვ. შინაარსის წიგნები.
(3—102—3) პატივისცემით **ი. დ. კიკნაძე.**

სტამბა „სინათლე" რუსის ქუჩა № 3
რედაქტორ-გამომცემელი **იროდიონ სონღულაშვილი.**